პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 38 (19779) პარასკევი, 18 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საფუძველია მოგება

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ კოლექტივი მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადავიდა. სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნისათვის მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრდა. თვითდაფინანსებაზე გადასვლა გაერთიანების მუშაკებს ბევრ სიკეთეს ჰპირდება. ამასთან, მნიშვნელოვნად იზრდება თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. ახლა აქ უკეთ იციან კაპიკის ყადრი. მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლას საფუძვლად დაედო სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება, თვითდაფინანსება, თვითანაზღაურება, მატერიალური დაინტერესება და ეკონომიკური პასუხისმგებლობა.

საწარმოს სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის საფუძველია მოგება, როგორც უმნიშვნელოვანესი განმაზოგადებელი ეკონომიკური მაჩვენებელი. მოგების საფუძველზე მოხდება საწარმოს ტექნიკური განახლება, რეკონსტრუქცია, მშენებლობა, მუშაკთა სტიმულირება. გაერთიანების თბილისის საცდელ ქარხანაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. **„კომუნისტის“ კორ.**

ემზადებიან მეშვენახეობა

რაც უფრო ახლოვდება გაზაფხული, მით უფრო მეტი საზრუნავი უჩნდებათ რესპუბლიკის მიწათმოქმედთ. პირველებმა დაამთავრეს კახეთში ვაზის სხვლა ახმეტის რაიონის მშრომელებმა. იგი განხორციელდა ფართობზე, რომელიც ხუთი ათას ჰექტარს აღემატება. წარმატებით დამთავრდა მწკრივთაშორისების ბარვა ზვრებში. ახლა შპალერების რემონტი იწყება.

დამკვრელური ტემპით შრომობენ მატნის, ოქიოს, სხვა საბჭოთა მეურნეობების მიწათმოქმედნი. წარმატება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების, კერძოდ, ბრიგადული იჯარის ფართო დანერგვის შედეგია. რაიონში აპირებენ აღმოფხვრან ყურძნის დამზადებაში შარშან დაშვებული ჩამორჩენა და წლეულს დაამზადონ 32 ათასი ტონა. როგორც იტყვიან, მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლები. ხელოვნებმა — სეტყვამ კახეთის მიწაწყალზე საგრძნობი კვალი დატოვა — რესპუბლიკაში პირველებმა დაიწყეს ზვრების სეტყვასაწინააღმდეგო ბადეებით გადახურვა. ისინი უკვე 300 ჰექტარზე გადაჭიმეს. ეს სამუშაოები ზამთრის პერიოდშიც გრძელდება.

— ამ სეზონში, — თქვა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. შთიაშვილმა, — ზვრებს გადავხურავთ კიდევ ორას ჰექტარზე, მატნის, ოქიოს, ქისტაურის, ზემო ხოდაშნის საბჭოთა მეურნეობებში.

მნიშვნელოვანი მატება

საუკეთესო მწველავები შეიკიდნენ ოთხათასიანელთა კლუბში, რომელიც შეექმნა სართიჭალის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატსა და მოწინავე მეცხოველის ქეთინო ქარჩაძის ინიციატივით. თვით ქეთინომ და მისმა მეგობრებმა პირუტყვის გამოზამთრების პერიოდში გაპროვინებულ თითოეულ ძროხაზე მოწველეს ერთიორად მეტი რძე, ვიდრე ნორმით იყო გათვალისწინებული.

მაღალი მოჯნების მიღწევა შეძლეს პირუტყვის მოვლის რეჟიმის ზუსტი დაცვის მეოხებით. კარგი ნაყოფი გამოიღო მოუხდელი რძის შემცველით გამოკვებამაც.

საქმით უპასუხებენ

თბილისის სართავი ფაბრიკის სართავ-საგრეხი საამქროს კოლექტივი ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა საწარმოში. მისი გადაწყვეტილებაა საქმით, თავდადებული შრომით უპასუხოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ფეიქრებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ მიმდინარე წლის დავალება, დაამზადონ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია და ამით ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს.

შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდა მგრეხავი მაყვალა ინწკირველი. იგი გეგმით გათვალისწინებული 75 კილოგრამის ნაცვლად 85-90 კილოგრამს ნართს უშვებს.

სურათებზე: მაყვალა ინწკირველი; საამქროს ფეიქრები შესვენებისას.

ს. კილაძის ფოტო.

ᲕᲐᲣᲤᲔᲜᲝᲗ ᲙᲔᲗᲘᲚᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲔᲠᲐᲓ!

ᲐᲑᲘᲜᲐᲝ პრობლემის სოციალური მნიშვნელობა და სიმწვავე აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე, წინასწარ განსაზღვრავს ჩვენს სერიოზულ დამოკიდებულებას მისდამი. 2000 წლისათვის უზრუნველვყოთ ყოველი ოჯახი ცალკე ბინით ან სახლით — თავისთავად უზარმაზარი ამოცანაა, მაგრამ მისი გადაწყვეტა შესაძლებელია.

ეს აზრია ჩაქსოვილი ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაშიც, რომელიც მან გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე.

სოციალური სფერო და, კერძოდ, ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა ძირეული გარდაქმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა. ეს საკითხი პარტიის შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია.

ცხოვრების განუზომლად გაზრდილი მოთხოვნების პირობებში ყოველად შეუწყნარებელია, დანაშაულია ბინათმშენებლობის საკითხისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ჩვენი რესპუბლიკის ამ დარგში მომუშავე ზოგიერთმა მუშაკმა გამოავლინა. მართალია, ბოლო პერიოდში ბინათმშენებლობაში შეიმჩნეოდა გარკვეული ძვრები სარისხის გაუმჯობესების მხრივ, მაგრამ ამბავმა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა, ყველაფერი გააქარწყლა.

რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის მარშანდელი გეგმა 104 პროცენტით შესრულდა და დავალების გადამეტებით მწყობრში ჩადგა 85 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ბინები. დიახ, სტატისტიკური მონაცემებით. მაგრამ, თურმე, საქმე გვქონია თვალის ახვევასთან, სახელმწიფოს მოტყუებასთან, უპასუხისმგებლობასთან, უსულგულობასთან. რომელ გეგმის გადამეტებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა სინამდვილეში მის შესრულებას 125 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი დაკლდა. სხვათაშორის, მშენებლებმა ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულებაც ჩაშალეს, მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა.

ბინათმშენებლობაში არსებული საკალალო მდგომარეობა, როგორც ცნობილია, პრინციპულად შეაფასა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. აღინიშნა, რომ არ აღმოფხვრილა მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ამასინჯებენ ფაქტებს, ცდილობენ შეალამაზონ საქმის ნამდვილი ვითარება, შენიღბონ შრომითი პროცესების უხეირო ორგანიზაცია, უინიციატივობა, უმოქმედობა და უყაირათობა. მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობა აზვიადებს მიღწეულ წარმატებებს, არ იჩენს თვითკრიტიკულობას და არ აძლევს პრინციპულ შეფასებას თავისი საქმიანობის შედეგებს. სამინისტროს აპარატს მუშაობაში აკლია ოპერატიულობა, სუსტია საშემსრულებელო დისციპლინა. ჯეროვან ბრძოლას არ ეწევიან მმართველობისა და წარმოების ქვეგანაყოფებში პარტიული ორგანიზაციები.

სამარცხვინო ამბავი, რომელიც საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მოხდა და შელახა რესპუბლიკის პრესტიჟი, მშენებლების მიერ გასული წლის დამდეგიდან დაწყებული გაუმართავი შუშაობის ლოგიკური შედეგია. მიაქციეთ ყურადღება: მარშან იანვარ-ოქტომბერში მწყობრში ჩადგა წლიური გეგმით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობის 67 პროცენტი, იანვარ-ნოემბერში კვლავ 67 პროცენტი, იანვარ-დეკემბრის დავალება კი 104 პროცენტით აღმოჩნდა შესრულებული.

განა შეიძლება ერთ თვეში სასწაული მოახდინო და საექსპლოატაციოდ გადასცე წლიური გეგმის 33 პროცენტი და ალუს გეგმის გადამეტებით 85 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი?

სწორედ ასეთი „სასწაულების“ შედეგია ის ფაქტი, რომ მშენებლები ოღრონოღრო კედლებიან, პარკეტაყრილ, უშპალერო, შეუღებავ ბინებს აბარებენ საექსპლოატაციოდ. იმეითად ნახავთ ახალ ბინას, რომელშიც მოწესრიგებული დაგხვდეთ სანტექნიკა, წყლის ონკანები, ფანჯრები და ბევრი სხვა რამ. პრაქტიკულად, ყველა ოჯახი იძულებულია, თუ ამის ოდნავი შესაძლებლობა მაინც აქვს, ხელახლა დაიწყოს რემონტი. იყრება და ნადგურდება დიდძალი მასალა, რომელიც მრავალ სამშენებლო ობიექტს სჭირდება. დღეს, როცა სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარება უმკაცრეს მოთხოვნათას ეფუძნება, საქმის ასეთი ვითარება, უყაირათობა, მფლანგველობა დიდი დანაშაულია.

საერთოდ, რესპუბლიკაში მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების დაპროექტების ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულების ძიება და არის კიდეც ამ მხრივ შედეგები. მუშავდება მიზანმიმართული გეგმა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საცხოვრებელი სახლების არქიტექტურას, გახდის მას მრავალფეროვანს, გამომსახველს და მოქნილს.

დაპროექტების ერთიანი პოლიტიკა, საცხოვრებელი სახლების არქიტექტურის გაუმჯობესება, მისი მრავალფეროვნება გლობალური, სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებია და მათს მოწესრიგებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ მართალია ისიც, რომ იმ საკითხების მოგვარებას, რომლებიც ახალმოსახლეებს აწუხებთ, სრულიადაც არ არის რთული და მით უმეტეს პრობლემატური. როცა ადამიანი მოუპირკეთებელ, ესთეტიკური თვალსაზრისით ყოველად ულაზათო ბინაში შედის და ყველაფერი ხელახლა გასაკეთებელი ხვდება, მისთვის მნიშვნელობას კარგავს შენობის არქიტექტურული სახე, როგორი იდეალურიც უნდა იყოს იგი. რა არის იმისთვის საჭირო, რომ ახალმოსახლე არ ჩიოდეს? მხოლოდ და მხოლოდ მშენებლის, მომპირკეთებლის მიერ მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, გულისხმიერება, არადა, ამ საქმეს ძალიან ხშირად გულგრილი, უსულგულო ადამიანები აკეთებენ. დიახ, აკეთებენ თუ ამას კეთებს ჰქვია. ბინას ტექნიკასთან ერთად სინდისიც უნდა აშენებდეს, თუ ასე იქნება, სასურველ შედეგსაც მალე მივაღწევთ.

დანაშაულს მშენებლებთან და მეპონტაჟეებთან ერთად სჩადიან ის შემკვეთები და სახელმწიფო მიმღები კომისიები, სახალხო დეპუტატთა აღმასკომების წარმომადგენლები, რომლებიც ობიექტების ჩაბარებისას არ იჩენენ პრინციპულობას და მომთხოვნელობას, ავლენენ უსულგულობას მინდობილი საქმისადმი. მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ კომისიის მიერ აღმოჩენილი დეფექტების გამოსწორებისათვის ყოველთვის არ იწუხებენ თავს. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ასეთი საჩივრები არცთუ იშვიათად შემოდის. სამწუხაროდ, რედაქციიდან გაგზავნილი მმრომელთა წერილების განხილვისას ყოველთვის ვერ არიან მოწოდების სიმაღლეზე პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქალაქო და რაიონული აღმასკომები, სახალხო კონტროლის კომიტეტები, სხვა ორგანიზაციები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, უწყება-სამინისტროებს მოსთხოვა, რომ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, წამატებებისა და თვალსაჩვენებელ ფაქტების აღმოფხვრისათვის ბრძოლის გაძლიერება მიიჩნიონ უმაღლესი მნიშვნელობის საქმედ.

მშენებლებმა წლეულს საკმაოდ სოლიდური მოცულობის სამუშაოები უნდა შეასრულონ. ამიტომ საჭიროა გავითვალისწინოთ ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებული მწარე გაკვეთილი, გამოვიტანოთ ანგარიში და ყველაფერი ხელახლა გასაკეთებელი ხვდება, მისთვის მნიშვნელობას კარგავს შენობის არქიტექტურული სახე, როგორი იდეალურიც უნდა იყოს იგი. რა არის იმისთვის საჭირო, რომ ახალმოსახლე არ ჩიოდეს? მხოლოდ და მხოლოდ მშენებლის, მომპირკეთებლის მიერ მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, გულისხმიერება, არადა, ამ საქმეს ძალიან ხშირად გულგრილი, უსულგულო ადამიანები აკეთებენ. დიახ, აკეთებენ თუ ამას კეთებს ჰქვია. ბინას ტექნიკასთან ერთად სინდისიც უნდა აშენებდეს, თუ ასე იქნება, სასურველ შედეგსაც მალე მივაღწევთ.

11 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნებს, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხებს განაგებენ.

გამართული საუბრის დროს მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, თუ რა მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სკკპ XXVII ყრილობის კურსის — საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების გარდაქმნისა და ყველა სფეროს განახლების კურსის თანამმდევრული განხორციელებისათვის. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მნიშვნელობა, რომელმაც დაადასტურა და გააღრმავა ყრილობის სტრატეგიული გეზი, გაამდიდრა თეორიული წარმოდგენა სოციალიზმის შესახებ, წამოაყენა საბჭოთა საზოგადოების შემდგომი ყოველმხრივი დემოკრატიზაციის პროგრამა. გარდაქმნაში მშრომელთა ფართო მასების, თეორიული, შრომითი კოლექტივის, ყველა საბჭოთა ადამიანის აქტიური ჩაბმა დაწყებული რევოლუციური ცვლილებების განხორციელების მთავარი პირობაა, წარსულის შეცდომების თავიდან აცილების გარანტიაა.

საუბრისას დიდი ყურადღება დაეთმო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის გაძლიერებას ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში მოსკოვის მომმე პარტიების ხელმძღვანელთა სამუშაო შეხვედრის შედეგების სულისკვეთებით. აღინიშნა, რომ დიდი შედეგების მოტანა შეუძლია სოციალიზმის ქვეყნების ნაყოფიერ თანამშრომლობას აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში, მის ხელახალ აღჭურვას თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით.

აგროსამრეწველო სფეროს სტაბილური და დინამიკური განვითარება სოციალისტური ქვეყნების მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაა. მის გადაწყვეტაზე, აღინიშნა საუბრისას, დიდად არის დამოკიდებული არა მარტო მოლიანად სახალხო მეურნეობის წარმატებული ინტენსიფიკაცია, არამედ აგრეთვე სოციალური სფეროს პროგრესი, სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება საერთაშორისო ასპარეზზე.

სწორედ ამიტომ ესწრაფვიან თანამეგობრობის ქვეყნების მომმე პარტიები გამოცდილების გაზიარებას აგროსამრეწველო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის მოწინავე, ყველაზე ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების ორმხრივ გაცვლას. საერთო საზრუნავი ხდება უახლესი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მეცნიერული აღმოჩენების დანერგვა. არსებითად საქმე ეხება აგროსამრეწველო კომპლექსის ტექნოლოგიურ გარდაქმნას, ღონა სპეციალიზაციისა და კოოპერაციას სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ქიმიის, ბიოტექნოლოგიის დარგში.

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე გათვალისწინებული კომპლექსური პროგრამის რეალიზაცია, კერძოდ, პროგრამის იმ ნაწილის განხორციელება, რომელიც ეხება აგროსამრეწველო კომპლექსის მოდერნიზაციის, ინტეგრაციული მექანიზმის გარდაქმნის პრობლემებს.

შეხვედრის მონაწილეებმა დიდად შეაფასეს მომმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა თათბირის შედეგები და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იგი ახალ პოლიტიკურ ომპულსს მიანიჭებს შემდგომ მუშაობას სოციალისტური ქვეყნების „ყოველმხრივი თანამეგობრობის განვითარებისათვის. (ᲗᲐᲙᲓᲘᲡᲘ).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲥᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

10-11 თებერვალს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მომმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები სოფლის მეურნეობის დარგში. შეხვედრაზე ყოველმხრივ განიხილეს პრაქტიკული საქმიანობა მომმე პარტიების ყრილობების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, აგროსამრეწველო სფეროში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შესასრულებლად.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის კომუნისტური პარტიისაგან — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვასილ ცანევი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან—გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვერნერ ფელფუ, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლე ფიოკ თხო, კუბის კომუნისტური პარტიისაგან — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ხულიო კომაჩო, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბუგენ დეყიდი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზბიგნევ მიხალეკი, რუმინეთის კომუნისტური პარტიისაგან— რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვასილე ბერბულესკუ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. პ. ნიკონოვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფერენც ხავაში, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფრანტიშეკ პიტრა.

შეხვედრაზე გამოსვლისას მომმე პარტიების წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აგროსამრეწველო სფეროს განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უახლოესი და პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტაში. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების შემდგომი განვითარება, სასურსათო პრობლემის წარმატებით დაჯაჭრა, საქონლის ორმხრივი მიწოდების გაფართოება მჭიდროდ უკავშირდება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას.

აზრთა გაზიარებისას აღინიშნა, რომ საჭიროა პრაქტიკული და თანამიმდევრული ღონისძიებანი, რათა განხორციელდეს გრძელვადიანი პროგრამები და შეთანხმებანი, დაიხვეწოს აგროსამრეწველო წარმოების დარგების თანამშრომლობის ეკონომიკური მექანიზმი. ამ მიზნების მისაღწევად დასახულია უზრუნველვყოთ მოქმედების უფრო მჭიდრო კოორდინირება, გავაერთიანოთ ძალისხმევა სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი დარგების განვითარების საკვანძო ამოცანების გადაწყვეტაში, რაც შეესაბამება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მათი ხალხების კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებს.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს, თუ როგორ უზრუნველყონ ბიოტექნოლოგიის მიღწევათა ეფექტიანი გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური დონის ამაღლება; სპეციალიზაცია და კოოპერირება აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში. განხილულია აგრეთვე თანამშრომლობის არსებული ფორმების განვითარებისა და ისეთი ახალი ფორმების გამოყენების შესაძლებლობანი, როგორიც არის, კერძოდ, ერთობლივი გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო კოლექტივების ორგანიზება.

შეხვედრაზე გაიმართა პარტიული ხელმძღვანელობის, აგროსამრეწველო კომპლექსების დაგეგმვისა და მართვის ეფექტიანობის გადიდების შეძენილი გამოცდილების ნაყოფიერი გაზიარება.

შეხვედრა მიმდინარეობდა საქმიან ვითარებაში, გულითადობისა და ამხანაგური ერთიანობის სულისკვეთებით.

მის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების მომმე პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და საზღვარგარეთ ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

შეხვედრის მონაწილეებმა დაათვალიერეს დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი —ბიოგენი“, ესაუბრნენ ბიოტექნოლოგიის დარგის წამყვან მეცნიერებს.

ᲡᲢᲠᲘᲥᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

გმირობა მთებში

ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ კლდოვან ხეობაში, სადაც ციცაბო ფერდობებიდან ჩამოწვა ზვავები, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის ჰიდრომშენებლები ყოველ ღონეს ხმარობენ სტიქიის დასამარცხებლად.

ელექტრომალურ პირობებში, როცა ზვავები დიდი ხნით კიტკავენ ერთადერთ გზას, ამ შორეულ მშენებლობას ბაზასთან რომ აკავშირებს, მთელი დღე-ღამის მანძილზე მუშაობენ მშენებლები, მემონტაჟეები, მექანიზატორები, ავტოტრანსპორტის მუშაკები. ასე იყო მთელი იანვრის მანძილზეც, როცა ვახტის ცვლებმა ვერ მოახერხეს მისვლა ჰიდრომშენებელთა ქალაქ ჯვარზენიდან ხუდონამდე. სამუშაოთა მთელი სიმძიმე დაიწვა კომპლექსური გამჭოლი ბრიგადის მცირე კოლექტივს, რომლის ხელმძღვანელობა იკისრა მიწისქვეშა ნაგებობათა უბნის უფროსმა თემურ წულეისკრიმაკაძრის ჰიდრომშენებლებმა შექმნეს მშენებლობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან უბნებზე შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის დამკვრელი ჯგუფი.

ახლა ჰიდრომშენებლები ზვავებისაგან წმენდენ შემოსავლელი გვირაბის კარიბჭეს, ხიდებს, სარემონტო სახელოსნოებისა და თავიანთი დროებითი საცხოვრებლის სახურავებს, საშუალებას არ აძლევენ თოვლის საფარს სქელ ფენად დაედოს გზებსა და მომავალი კაშხლის თხრილს. სამუშაოთა მწარმოებელი კოტე ბეჟვაია, მექანიკოსი დიმიტრი გუტნიკი, ბულდოზერების მემანქანეები გული ხარჩილავა, ნოდარ ღურწყაია, გიორგი ნარსაკიძე, ვლენის ორდენოსანი გივი ფირცხალავა და მისი ვაჟი ჯულაბი მთელი დღეების მანძილზე შრომობენ ნამქერების გაწმენდისათვის.

შრომითს ვახტზე დგანან ჰიდროენერგეტიკოსები. მიწისქვეშა ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს ინჟინერი გიული ბაღათელია და მისი ბრიგადა გვირაბში იწყებენ და აქვე ამთავრებენ სამუშაო დღეს. შეუფერხებლად მუშაობენ აქ მძლავრი ელექტროტაბოები, რათა წყალმა არ დატბოროს საინჟინრო კომუნიკაციები და არ დგუბდეს თაღებქვეშ. მაშინაც კი, როცა ზვავმა წაყარა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ზაზების ანძები და სამშენებელო მოედანი დროებით უშუქოდ დარჩა, ენერგიას გვირაბში აწვდიდნენ ძვრიათი და ტუმბოები კვლავ მუშაობდნენ. ხუდონში მალე ჩამოაღწიეს ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადებმა ზუგდიდიდან და ცხაკაიადან, რომლებმაც აღადგინეს ენერგიის მიწოდება.

თოვლის სტიქიასთან ბრძოლა მიმდინარეობდა ჯვარზენ-ხუდონის გზაზე. მებულდოზერეები ავთანდილ დავითიანი და ვიტალი გოროაინოვი პირველები გამოვიდნენ ზვავების გასაწმენდად. მანქანების მოძრაობას უბნის უფროსი ბიძინა ცომინტია აწესრიგებს. უძნელეს პირობებში ამ პატარა მექანიზებულმა რაზმმა შეძლო თოვლში ტრასის გაყვანა და მიაწოდა მშენებარე ჰიდროელექტროსადგურს სათბობი.

მათ კვალდაკვალ წავიდნენ ბენზინმზიდები და პროდუქტით დატვირთული მანქანები. წინ მიდიოდა გამოცდილი მძღოლი რობერტ მიქავას მძლავრი „ურალი“, რომელმაც აქ ვახტის ცვლა ჩამოიყვანა. ასე მიიღეს შევსება ინჟინერების რუსლან ლაშხიას, ვლადიმერ კრიუკოვის, ბონდო სამუშიას, სარემონტო საამქროს უფროსის ნიკოლოზ ბოიკოს მანამდე მცირერიცხოვანმა კოლექტივებმა. ახლა მუშახელი საკმარისია, რათა ფართო ფრონტით გაშალონ სამუშაობა ხუდონის მთელ სამშენებლო მოედანზე. მებულდოზერე კონსტანტინე კვარტნიკოვი უზრუნველყოფს ძირითადი ობიექტისაკენ მიმავალი გზის თოვლისგან გაწმენდას.

აქ თითოეული თავდადებით ასრულებს თავის მოვალეობას. უკვე ერთი თვეა, არ მიუტოვებია დათვალული მუშაობა დასახლება მედდა მარინე მიქავას, რომლის ცვლამ ჯერ ჯერობით ვერ მოაღწია აქამდე. მისი მზრუნველი ხელი კი სჭირდება ადამიანებს — არა მარტო თოვლსა და ყინვაში მომუშავე მშენებლებს, არამედ სტიქიით დაზარალებული ორი სვანური სოფლის სამოც მეცხოვრებსაც, რომლებიც თავიანთ დასახლებაში შეიფარეს ჰიდრომშენებლებმა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲥᲔᲒᲚᲔᲑᲘ

გადარჩა

ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲨᲘ ყველაზე მაღალი მთის სოფელ ულბეგულში, სტიქიის შემოტევის მიუხედავად, კვლავინდებურად ამაყად დგანან ნაგებობანი, რომელთა ბედი ამ დღეებში მთელ რესპუბლიკას აწუხებდა. გადარჩა ყველა სვანური კოშკი, ძველი საეკლესიო ნაგებობანი. აქ დაცულია ეროვნული სულიერი და მატერიალური სიმდიდრე, რომელსაც ოდითგანვე ამ მხარეში უმალავდნენ მტერს ძნელბედობის ჟამს.

დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, უშგულში ასკლის შესაძლებლობა არა გვაქვს: უამინდობამ კვლავ გადაკეტა საჰაერო ხიდი, რომლის მეოხებით 8 თებერვალს ათობით ადამიანი გამოიყვანეს ზვავსაშიში ადგილებიდან.

— უშგულის სასოფლო საბჭოში შედის რამდენიმე სოფელი, რომლთაგან თითოეულში არის უნიკალური კოშკები, საეკლესიო ნაგებობანი, — თქვა კავშირგაბმულობის ადგილობრივი კვანძის მუშაკმა მაქსიმე კაკრიაშვილმა. — სოფელ ჩაჟაშში ახლო წარსულში მოწყობილი იყო თბილისის ღია ცისქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალი. აქ და მთელ რიგ ახლომდებარე სოფლებში საუკუნეთა მანძილზე დაცულია მატერიალური და სულიერი ღირებულებანი. მათ საფრთხეს უქმნიდა მთიდან დაქანებული ზვავები.

— თოვლს, რომელიც მრავალ ნაგებობას ფარავდა, შეიძლება ჩაეხგრია სახურავი, — ჩაება საუბარში უშგულის საბჭოთა მეურნეობის ბუღალტერი მურმან ნიკურაძე. — მაგრამ ჩაჟაშის ეკლესიის სახურავი ჯერ კიდევ იანვარში გადმოვთოვლეთ და მერეც სისტემატურად ვთოვლავდით, გამოფრენის წინ თავად ვნახე პლომბი შესასვლელი კარის კლიტეზე. მისთვის ხელი არავის უხლია. არც დაცვა მიატოვეს მინდობილ ობიექტს.

როგორც კი ცა მოიწმინდება, უშგულის ცაში ვერტმფრინავები ჩნდებიან. მათ მიაქვთ სურსათი, სათბობი, გამოჰყავთ ადამიანები სამშვიდობოზე, რესპუბლიკის სხვა რაიონებში. 8 თებერვალს მოვაბერხეთ მესტიაში შევხვედროდით სტეჟიური უბედურების წინააღმდეგ მებრძოლი რაიონული შტაბის თავმჯდომარეს, პარტიის რაიკომის პირველ მდივანს შურად ულბასს.

— რამდენიმე დღის განმავლობაში შემოვუფრინეთ უშგულსა და ყველა ახლომახლო სოფელს. სიხარულით მინდა გაცნობოთ, რომ დანგრეული არქიტექტურული ძეგლები არ გვინახავს, — თქვა მან. — გვაწუხებდა თოვლით დაფარული ნაგებობების ბედი, მაგრამ ისინი არ დანგრეულა. ამას მოწმობს კონტურები, რომლებიც თოვლში ჩანს. ჩვენს აზრს ადასტურებს მთამსვლელ-მაშველთა ცნობა, რომლებიც იყვნენ უშგულის სასოფლო საბჭოს ყველა სოფელში. უფრო ზუსტ ცნობებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „საზოგადოებრივი კვების კოოპერატივების შექმნის შესახებ“ და მოიწონა მათი სანიმუშო წესდება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სასურსათო საქონლის წარმოების ზრდის, საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ ხანს უფრო სრულად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა მის მომსახურებაზე.

ამასთანავე საზოგადოებრივ კვებაში არის გამოუყენებელი რეზერვები, უწონარეს ყოვლისა, ეს არის ამ სფეროში დამატებითი სასურსათო რესურსების მოქცევა, აგრეთვე საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელ მოქალაქეთა შრომის გამოყენება. ამასთან დაკავშირებით მომწიფდა საჭიროება შეივსოს საზოგადოებრივი კვების მოქმედი სფერო ფართო ეკონომიკური დამოუკიდებლობის მქონე მცირე კოოპერატივების ჩამოყალიბებით, რომლებიც სწრაფად და მოქნილად რეაგირებენ მოთხოვნის შეცვლაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნო ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი კვების კოოპერატივები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის (საზოგადოებრივი კვების) სამმართველოებთან (განყოფილებებთან), ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან (ორგანიზაციებთან). გათვალისწინებულია მათი საქმიანობა მოხმარდეს მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებას ძირითადად იმ ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოყენების ხარჯზე, რომლებსაც შეისყიდიან მოსახლეობაში, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისაგან და საკოლმეურნეო ბაზრებზე, და განხორციელდეს ამ პროდუქციის რეალიზაცია მოსახლეობისათვის მოსახერხებელ დროს.

კოოპერატივები იქმნება მოქალაქეებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ინიციატივით, თუ სულ ცოტა სამი პირი გამოთქვამს სურვილს მონაწილეობდეს თავისი შრომით კოოპერატივის საქმიანობაში.

კოოპერატივებში მიიღებიან ძირითადად საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი მოქალაქენი: პენსიონერები, დიასახლისები, სტუდენტები და მოსწავლეები. კოოპერატივებში შეიძლება შრომითი შეთანხმებით იმუშაონ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკებმა ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ამასთან შეზღუდვები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაწესებული შეთავსებისათვის, არ გამოიყენება.

კოოპერატივის სანიმუშო წესდებით მის წევრებს ეკისრებათ მოვალეობა უზრუნველყონ პროდუქციის სათანადო ხარისხი და მომსახურების მაღალი კულტურა, აქტიურად მონაწილეობდნენ კოოპერატივის საქმეთა მართვაში, უფროთხილდებოდნენ და განამტკიცებდნენ სახელმწიფო და კოოპერატიულ საკუთრებას, არ დაუშვან „უყაირათობა და უნიათო დამოკიდებულება საზოგადოებრივი დოვლათისადმი.

კოოპერატივის წევრს მინიჭებული აქვს უფლება შეიტანოს წინადადებანი კოოპერატივის საქმიანობის გაუმჯობესების, თანამდებობის პირთა მუშაობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ, აირჩიოს და არჩეულ იქნეს არჩევითს თანამდებობებზე, აგრეთვე მიიღოს გასამრჯელო გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად შემოსავლიდან, რომელიც კოოპერატივის წევრებს შორის.

კოოპერატივისათვის მიყენებული ზარალის გამო, კოოპერატივის წევრებს, რომელთა მიზეზით არის გამოწვეული ზარალი, აკისრიათ მატერიალური პასუხისმგებლობა იმ წესითა და ოდენობით, რომელიც კანონმდებლობით არის დადგენილი მუშა-მოსამსახურეებისათვის.

კოოპერატივი ანაზღაურებს ზარალისათვის, რომელიც კოოპერატივს მიადგა, კოოპერატივის წევრებს, რომელთა მიზეზითაც გამოწვეულია ზარალი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა მუშა-მოსამსახურეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

გათვალისწინებულია, რომ კოოპერატივი იურიდიული პირია და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითნაზღაურობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე ამ წესდების შესაბამისად, რომელსაც იღებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება. კოოპერატივს მინიჭებული აქვს უფლება დამოუკიდებლად შეიმუშაოს და დაამტკიცოს სამეურნეო საქმიანობის გეგმები, განსაზღვროს კოოპერატივის მიერ წარმოებული და რეალიზებული საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ფასები მის მიერ შედგენილი კალკულაციის საფუძველზე, შეიტანოს, ადგილობრივ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ, მის განკარგულებაში დარჩენილი შემოსავალი კოოპერატივის განვითარების ფონდში, სადაზღვევო ფონდში, და მოახმაროს კოოპერატივის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას.

კოოპერატივს შეუძლია მიიღოს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკისაგან გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები, დაამყაროს სახელშეკრულებო ურთიერთობა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

შექმნისას კოოპერატივებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებთანაც ისინი ყალიბდებიან, იჯარით ან უსასყიდლოდ გადასცემენ შენობებს, სათავსებს, მოწყობილობას და სხვა ქონებას. კოოპერატივებს ხელფასი შემოსავლიდან, რომელიც კოოპერატივის წევრებს შორის უნდა განაწილდეს მის მიერ გაწეული შრომის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

ზარალისათვის, რომელიც კოოპერატივს მიადგა, კოოპერატივის წევრებს, რომელთა მიზეზითაც გამოწვეულია ზარალი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა მუშა-მოსამსახურეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

გათვალისწინებულია, რომ კოოპერატივი იურიდიული პირია და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითნაზღაურობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე ამ წესდების შესაბამისად, რომელსაც იღებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება. კოოპერატივს მინიჭებული აქვს უფლება დამოუკიდებლად შეიმუშაოს და დაამტკიცოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმები, განსაზღვროს წარმოებული საქონლის (პროდუქციის) ფასები, ადგილობრივ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის შემდეგ მის განკარგულებაში დარჩენილი შემოსავალი მოახმაროს კოოპერატივის განვითარების ფონდს, სადაზღვევო ფონდსა და თავის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას.

კოოპერატივს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკიდან შეუძლია მიიღოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები, დაამყაროს სახელშეკრულები ურთიერთობა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

შექმნისას კოოპერატივებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე გაერთიანებები (საწარმოები), ორგანიზაციები, რომლებთანაც ისინი ყალიბდებიან, იჯარით ან უსასყიდლოდ გადასცემენ შენობებს, სათავსებს, მოწყობილობას და სხვა ქონებას. კოოპერატივების საქმიანობის დასაწყებად საჭირო სახსრები მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვისათვის სსრ კავშირის სახბანკის მიერ გაცემული მოკლევადიანი კრედიტების ხარჯზე.

მმართველობის ორგანოებს, გაერთიანებებს (საწარმოებს), ორგანიზაციებს, რომლებთანაც იქმნება კოოპერატივები, აგრეთვე სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოებს ნება დაერთოთ გამოყონ კოოპერატივებისათვის მისაყიდად მოსახლეობის შეკვეთების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. გარდა ამისა, კოოპერატივებს ნება დაერთოთ შეიძინონ მასალები, სათადარიგო ნაწილები, ინსტრუმენტი და მცირეგაბარიტიანი მოწყობილობა საცალო ვაჭრობის ქსელში ნაღდ ანგარიშზე. გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიენიჭათ უფლება მიჰყიდონ კოოპერატივებს მათ განკარგულებაში არსებული გამოუყენებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი და გაუწიონ მათ საბელშეკრულებო საწყისებზე სატრანსპორტო მომსახურება, შეაკეთონ მანქანა-მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებები.

კოოპერატივის წევრებს უფლება აქვთ გამოიყენონ პირადი ავტომოტოტრანსპორტი, მოწყობილობა, ინსტრუმენტი და სათავსები კოოპერატივის წინაშე მდგომი ამოცანების რეალიზაციისათვის, ამასთან აუნაზღაურდეთ ხარჯები.

განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის სახსრები იქმნება მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის და სხვა შემოსულობის ხარჯზე.

კოოპერატივის საქმიანობით მიღებული შემოსავალი ხმარდება მატერიალური დანახარჯების ანაზღაურებას, სავალდებულო გადასახდელებისა და ანარიცხების გაკეთებისა და გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის), რომლებთანაც შეიქმნა ეს კოოპერატივები.

კოოპერატივს შეუძლია მის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გამოუყოს თავისი სახსრების ნაწილი სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა წილობრივ საწყისებზე ააშენონ საწარმოო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

კოოპერატივი თავისი ვალდებულებების შესრულებისათვის პასუხს აგებს საკუთარი სახსრებითა და ქონებით. ამასთან კოოპერატივის ვალდებულებებისათვის სახელმწიფო პასუხს არ აგებს.

გათვალისწინებულია, რომ კოოპერატივში სამუშაო დღის ხანგრძლივობას და განაწყენს, დასვენების დღეებს, ყოველწლიური და დამატებითი შვებულების მიცემის წესს, საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მინიმუმს და კოოპერატივის წევრთა შრომითი საქმიანობის სხვა საკითხებს არეგულირებს კოოპერატივის წესდება და შინაგანაწესის წესები.

დადგენილია, რომ კოოპერატივის წევრთა გასამრჯელო განისაზღვრება გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის, შემოსავლის შექმნაში შეტანილი პირადი წვლილის შესაბამისად, კოოპერატივის წევრთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება საერთო კრებაზე დამტკიცებული განაკვეთების (სარგოების) და სანარდო ფასდებების მიხედვით, ხოლო კოოპერატივში სამუშაოდ მიღებული მუშა-მოსამსახურეებისა — შრომითი შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით. ამასთან კოოპერატივის წევრებსა და პირებს, რომლებიც შრომითი შეთანხმებით მუშაობენ კოოპერატივში, უნარჩუნდებათ პენსია, აგრეთვე სტიპენდია სასწავლებელში და ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე სრული ოდენობით.

კოოპერატივის წევრები ექვემდებარებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას.

კოოპერატივის წევრთა სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება დაკისრებული აქვთ მმართველობის ორგანოებს, საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებთანაც შექმნილია კოოპერატივები. მათ წინადადება მიეცათ მისცენ კოოპერატივის წევრებს შესაძლებლობა ისარგებლონ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, კლუბების, სბაბავშვო ბაღების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მომსახურებით.

კოოპერატივის საქმეთა მართვა ხორციელდება ფართო დემოკრატიის, ყველა საკითხის გადაწყვეტაში მისი წევრების აქტიური მონაწილეობის საფუძველზე. კოოპერატივის მმართველობის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც იღებს კოოპერატივის წესდებას, ირჩევს კოოპერატივის თავმჯდომარეს ორ წლამდე ვადით, რევიზორს, წყვეტს კოოპერატივის წევრად მიღების საკითხებს, მისი საქმიანობის ორგანიზაციულ და სამეურნეო საკითხებს. საერთო კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება კოოპერატივის ყველა წევრის სულ ცოტა 2/3. საერთო კრებაზე გადაწყვეტილებას იღებენ ხმის უმრავლესობით.

განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის წესდება რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში.

კოოპერატივი გაუქმდება, თუ დაირღვა კანონმდებლობა, კოოპერატივის წესდება, თუ კოოპერატივის წევრთა რიცხვი სამზე ნაკლები გახდა, ვეღარ ახორციელებს თავის საქმიანობას თვითნაზღაურობისა და თვითდაფინანსების პრინციპებით, აგრეთვე თუ გაუქმდა მმართველობის ორგანო, საწარმო (ორგანიზაცია), რომელთანაც ჩამოყალიბდა კოოპერატივი. კოოპერატივის გაუქმება ხდება კოოპერატივის წევრთა საერთო კრების ან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, რომელთა ტერიტორიაზე იქმნება კოოპერატივები, დაევალათ განსაზღვრონ მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის სფეროები, ხელი შეუწყონ კოოპერატივებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მასალა-ნედლეულით, ტრანსპორტით უზრუნველყოფის მხრივ, ფართოდ აუწყონ მოსახლეობას მათი საქმიანობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის შესაბამის უწყება-სამინისტროებს დაავალა გამოსცენ საჭირო ახსნა-განმარტებანი კოოპერატივების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წესთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „საზოგადოებრივი კვების კოოპერატივების შექმნის შესახებ“ და მოიწონა მათი სანიმუშო წესდება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსკკპ XXVII ყრილობის დებულებათა შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა მუშაობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაჩქარებული განვითარებისათვის. განმტკიცდა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა მისი აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობით, გაფართოდა საწარმოთა ქსელი, გაიზარდა მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა.

ამ მუშაობაში ჩაბმული არიან ყველა უწყება-სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები, მათი სპეციალიზაციისა და ძირითადი საქმიანობის ხასიათის მიუხედავად. დამამზადებელი სამინისტროები ორგანიზაციას უწევენ მოქალაქეთა კუთვნილი რიული საყოფაცხოვრებო ტექნიკის საფირმო ტექნიკურ მომსახურებას.

ამასთანავე ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. ეს ძირითადად ამჟამედეს საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი რეზერვები, თუ უფრო სრულად გამოვიყენებთ პენსიონერთა, საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელ სხვა მოქალაქეთა შრომის გამოყენების და, კერძოდ, კოოპერატივების შექმნის გზით. ეს კოოპერატივები სახელმწიფო საწარმოთა მოქმედი სისტემის დამატებით შეძლებენ მოაწყონ იმ საქონლის წვრილსერიული წარმოება, რომელზეც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნაა, და მოქნილად რეაგირებდნენ მის შეცვლაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნო შეიქმნას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების კოოპერატივები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ინიციატივით, თუ სულ ცოტა სამი პირი გამოთქვამს სურვილს მონაწილეობდეს თავისი შრომით მის საქმიანობაში.

კოოპერატივებში მიიღებიან ძირითადად საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი მოქალაქენი: პენსიონერები, დიასახლისები, სტუდენტები და მოსწავლეები. კოოპერატივებში შრომითი შეთანხმებით შეუძლიათ მუშაობა საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკებს ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ამასთან მოქმედი კანონმდებლობით შეთავსებისათვის დაწესებული შეზღუდვები არ გამოიყენება.

კოოპერატივის სანიმუშო წესდებით მის წევრებს ეკისრებათ მოვალეობა უზრუნველყონ პროდუქციის სათანადო ხარისხი, აქტიურად მონაწილეობდნენ კოოპერატივის საქმეთა მართვაში, უფროთხილდებოდნენ და განამტკიცებდნენ სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრებას, არ დაუშვან უყაირათობა და უნიათო დამოკიდებულება საზოგადოებრივი დოვლათისადმი.

კოოპერატივის წევრს მინიჭებული აქვს უფლება შეიტანოს წინადადებანი კოოპერატივის საქმიანობის გაუმჯობესების, თანამდებობის პირთა მუშაობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ, აირჩიოს და არჩეულ იქნეს არჩევითს თანამდებობებზე, აგრეთვე მიიღოს გასამრჯელო გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად შემოსავლიდან, რომელიც კოოპერატივის წევრებს შორის.

კოოპერატივისათვის მიყენებული ზარალის გამო კოოპერატივის წევრებს, რომელთა მიზეზით არის გამოწვეული ზარალი, აკისრიათ მატერიალური პასუხისმგებლობა იმ წესითა და ოდენობით, რომელიც კანონმდებლობით არის დადგენილი მუშა-მოსამსახურეებისათვის.

კოოპერატივი ანაზღაურებს ზარალისათვის, რომელიც კოოპერატივს მიადგა, კოოპერატივის წევრებს, რომელთა მიზეზითაც გამოწვეულია ზარალი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა მუშა-მოსამსახურეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

გათვალისწინებულია, რომ კოოპერატივი იურიდიული პირია და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითნაზღაურობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე ამ წესდების შესაბამისად, რომელსაც იღებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება. კოოპერატივს მინიჭებული აქვს უფლება დამოუკიდებლად შეიმუშაოს და დაამტკიცოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმები, განსაზღვროს წარმოებული საქონლის (პროდუქციის) ფასები, ადგილობრივ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის შემდეგ მის განკარგულებაში დარჩენილი შემოსავალი მოახმაროს კოოპერატივის განვითარების ფონდს, სადაზღვევო ფონდსა და თავის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას.

კოოპერატივს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკიდან შეუძლია მიიღოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები, დაამყაროს სახელშეკრულები ურთიერთობა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

შექმნისას კოოპერატივებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე გაერთიანებები (საწარმოები), ორგანიზაციები, რომლებთანაც ისინი ყალიბდებიან, იჯარით ან უსასყიდლოდ გადასცემენ შენობებს, სათავსებს, მოწყობილობას და სხვა ქონებას. სახსრები, რომლებიც კოოპერატივებს სჭირდებათ საქმიანობის დაწყებისას მატერიალურ ფასეულობათა შესასყიდად, ყალიბდება სსრ კავშირის სახბანკის მიერ გაცემული მოკლევადიანი კრედიტების ხარჯზე.

მმართველობის ორგანოებს, გაერთიანებებს (საწარმოებს), ორგანიზაციებს, რომლებთანაც იქმნება კოოპერატივები, აგრეთვე სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოებს ნება დაერთოთ გამოყონ კოოპერატივებისათვის მისაყიდად მოსახლეობის შეკვეთების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. გარდა ამისა, კოოპერატივებს ნება დაერთოთ შეიძინონ მასალები, სათადარიგო ნაწილები, ინსტრუმენტი და მცირეგაბარიტიანი მოწყობილობა საცალო ვაჭრობის ქსელში ნაღდ ანგარიშზე. გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიენიჭათ უფლება მიჰყიდონ კოოპერატივებს გამოუყენებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი და გაუწიონ მათ სახელშეკრულებო საწყისებზე სატრანსპორტო მომსახურება, შეაკეთონ მანქანა-მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებები.

კოოპერატივის წევრებს უფლება აქვთ გამოიყენონ პირადი ავტომოტოტრანსპორტი, მოწყობილობა, ინსტრუმენტი და სათავსები კოოპერატივის წინაშე მდგომი ამოცანების რეალიზაციისათვის, ამასთან აუნაზღაურდეთ ხარჯები.

განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის სახსრები იქმნება მოწარმოებული საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის და სხვა შემოსულობის ხარჯზე.

კოოპერატივის საქმიანობით მიღებული შემოსავალი ხმარდება მატერიალური დანახარჯების ანაზღაურებას, სავალდებულო გადასახდელებისა და ანარიცხების განხორციელებას, საშემოსავლო გადასახადის გადახდას. ამასთან კოოპერატივს შეაქვს ელექტროენერგიის, გაზის, წყლის, ორთქლის მოხმარებისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელი ამ მომსახურების ანაზღაურების მოქმედი წესისა და ოდენობის შესაბამისად, რომელიც დადგენილია მმართველობის ორგანოებისა და გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის), რომლებთანაც შეიქმნა ეს კოოპერატივები.

კოოპერატივს შეუძლია მის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გამოუყოს თავისი სახსრების ნაწილი სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა წილობრივ საწყისებზე ააშენონ საწარმოო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

კოოპერატივი თავისი ვალდებულებების შესრულებისათვის პასუხს აგებს საკუთარი სახსრებითა და ქონებით. ამასთან კოოპერატივის ვალდებულებებისათვის სახელმწიფო პასუხს არ აგებს.

გათვალისწინებულია, რომ კოოპერატივში სამუშაო დღის ხანგრძლივობას და განაწყენს, დასვენების დღეებს, ყოველწლიური და დამატებითი შვებულების მიცემის წესს, საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მინიმუმს და კოოპერატივის წევრთა შრომითი საქმიანობის სხვა საკითხებს არეგულირებს კოოპერატივის წესდება და შინაგანაწესის წესები.

დადგენილია, რომ კოოპერატივის წევრთა გასამრჯელო განისაზღვრება გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის, შემოსავლის შექმნაში შეტანილი პირადი წვლილის შესაბამისად. კოოპერატივის წევრთა შრომის ანაზღაურება ხდება საერთო კრებაზე დამტკიცებული განაკვეთების (სარგოების) და სანარდო ფასდებების მიხედვით, ხოლო კოოპერატივში სამუშაოდ მიღებული მუშა-მოსამსახურეებისა, — შრომითი შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით. ამასთან კოოპერატივის წევრებსა და პირებს, რომლებიც შრომითი შეთანხმებით მუშაობენ კოოპერატივში, უნარჩუნდებათ პენსია, აგრეთვე სტიპენდია სასწავლებელში და ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე სრული ოდენობით.

კოოპერატივის წევრები ექვემდებარებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას.

კოოპერატივის წევრთა სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება დაკისრებული აქვთ მმართველობის ორგანოებს, საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებთანაც შექმნილია კოოპერატივები. მათ წინადადება მიეცათ მისცენ კოოპერატივის წევრებს შესაძლებლობა ისარგებლონ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, კლუბების, სბაბავშვო ბაღების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მომსახურებით.

კოოპერატივის საქმეთა მართვა ხორციელდება ფართო დემოკრატიის, ყველა საკითხის გადაწყვეტაში მისი წევრების აქტიური მონაწილეობის საფუძველზე. კოოპერატივის მმართველობის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც იღებს კოოპერატივის წესდებას, ირჩევს კოოპერატივის თავმჯდომარეს ორ წლამდე ვადით, რევიზორს, წყვეტს კოოპერატივის წევრად მიღების საკითხებს, მისი საქმიანობის ორგანიზაციულ და სამეურნეო საკითხებს. საერთო კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება კოოპერატივის ყველა წევრის სულ ცოტა 2/3. საერთო კრებაზე გადაწყვეტილებას იღებენ ხმის უმრავლესობით.

განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის წესდება რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში.

კოოპერატივი გაუქმდება, თუ დაირღვა კანონმდებლობა, კოოპერატივის წესდება, თუ კოოპერატივის წევრთა რიცხვი სამზე ნაკლები გახდა, ვეღარ ახორციელებს თავის საქმიანობას თვითნაზღაურობისა და თვითდაფინანსების პრინციპებით, აგრეთვე თუ გაუქმდა მმართველობის ორგანო, საწარმო (ორგანიზაცია), რომელთანაც ჩამოყალიბდა კოოპერატივი.

კოოპერატივის გაუქმება ხდება კოოპერატივის წევრთა საერთო კრების ან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კოოპერატივების შექმნის შესახებ“ და მოიწონა მათი სანიმუშო წესდება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსკკპ XXVII ყრილობის დებულებათა შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა მუშაობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაჩქარებული განვითარებისათვის. განმტკიცდა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა მისი აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობით, გაფართოდა საწარმოთა ქსელი, გაიზარდა მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა.

ამ მუშაობაში ჩაბმული არიან ყველა უწყება-სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები, მათი სპეციალიზაციისა და ძირითადი საქმიანობის ხასიათის მიუხედავად. დამამზადებელი სამინისტროები ორგანიზაციას უწევენ მოქალაქეთა კუთვნილი რიული საყოფაცხოვრებო ტექნიკის საფირმო ტექნიკურ მომსახურებას.

ამასთანავე სრულად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. ეს ძირითადად ამჟამედეს საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი რეზერვები, თუ უფრო სრულად გამოვიყენებთ პენსიონერთა, საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელ სხვა მოქალაქეთა შრომის გამოყენების და, კერძოდ, კოოპერატივების შექმნის გზით. ეს კოოპერატივები სახელმწიფო საწარმოთა მოქმედი სისტემის დამატებით შეძლებენ მოაწყონ იმ საქონლის წვრილსერიული წარმოება, რომელზეც მოსახლეობის მომსახურება, რომელზეც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნაა, ამასთან მოქნილად რეაგირებდნენ მის ცვლილებებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნო შეიქმნას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კოოპერატივები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ინიციატივით, თუ სულ ცოტა სამი პირი მაინც გამოთქვამს სურვილს თავისი შრომით მიიღოს მონაწილეობა კოოპერატივის საქმიანობაში.

კოოპერატივებში ძირითადად მიიღებიან მოქალაქენი, რომლებიც დასაქმებული არ არიან საზოგადოებრივ წარმოებაში: პენსიონერები, დიასახლისები, სტუდენტები და მოსწავლეები. კოოპერატივებში შეუძლიათ იმუშაონ შრომითი შეთანხმების საფუძველზე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებმა ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ამასთან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეთავსების შეზღუდვები მათ მიმართ გამოყენებული არ იქნება. ცალკეულ სამუშაოთა შესასრულებლად იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება მიიზიდონ სტუდენტები, მოსწავლენი, მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური და სხვა მუშაკები შვებულებებისა და არდადეგების პერიოდში.

კოოპერატივის სანიმუშო წესდება მის წევრებს აკისრებათ მოვალეობა უზრუნველყონ პროდუქციის სათანადო ხარისხი, აქტიურად მონაწილეობდნენ კოოპერატივის საქმეთა მართვაში, უფროთხილდებოდნენ და განამტკიცებდნენ სახელმწიფო და კოოპერაციულ საკუთრებას, არ დაუშვან უყაირათობა და დაუდევარი დამოკიდებულება საზოგადოებრივი დოვლათისადმი.

კოოპერატივის წევრს მინიჭებული აქვს უფლება შეიტანოს წინადადებანი კოოპერატივის საქმიანობის გაუმჯობესების, თანამდებობის პირთა მუშაობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ, აირჩიოს და არჩეულ იქნეს არჩევითს თანამდებობებზე, აგრეთვე მიიღოს გასამრჯელო გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად შემოსავლიდან, რომელიც კოოპერატივის წევრებს შორის უნდა განაწილდეს მის მიერ გაწეული შრომის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

ზარალისათვის, რომელიც კოოპერატივს მიადგა, კოოპერატივის წევრებს, რომელთა მიზეზითაც გამოწვეულია ზარალი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა მუშა-მოსამსახურეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

გათვალისწინებულია, რომ კოოპერატივი იურიდიული პირია და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითნაზღაურობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე ამ წესდების შესაბამისად, რომელსაც იღებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება. კოოპერატივს მინიჭებული აქვს უფლება დამოუკიდებლად შეიმუშაოს და დაამტკიცოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმები, განსაზღვროს წარმოებული საქონლის (პროდუქციის) ფასები, ადგილობრივ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის შემდეგ მის განკარგულებაში დარჩენილი შემოსავალი მოახმაროს კოოპერატივის განვითარების ფონდს, სადაზღვევო ფონდსა და თავის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას.

კოოპერატივს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკისაგან გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები, დაამყაროს სახელშეკრულები ურთიერთობა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

შექმნისას კოოპერატივებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე გაერთიანებები (საწარმოები), ორგანიზაციები, რომლებთანაც ისინი ყალიბდებიან, იჯარით ან უსასყიდლოდ გადასცემენ შენობებს, სათავსებს, მოწყობილობას და სხვა ქონებას. სახსრები, რომლებიც კოოპერატივებს სჭირდებათ საქმიანობის დაწყებისას მატერიალურ ფასეულობათა შესასყიდად, ყალიბდება სსრ კავშირის სახბანკის მიერ გაცემული მოკლევადიანი კრედიტების ხარჯზე.

მმართველობის ორგანოებს, გაერთიანებებს (საწარმოებს), ორგანიზაციებს, რომლებთანაც იქმნება კოოპერატივები, აგრეთვე სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოებს ნება დაერთოთ გამოყონ კოოპერატივებისათვის მისაყიდად მოსახლეობის შეკვეთების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. გარდა ამისა, კოო

დირექტორი აირჩიეს

მეურნეობის დირექტორად ორი კანდიდატურა დასახელეს. შარული კენჭისყრით აირჩიეს თანასოფელი საეციალისტი-ბრიგადირი

ახმეტის რაიონის სოფელ მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ოთარ დონინჯაშვილმა პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივნის თ. მათიაშვილის სახელზე განცხადება დაწერა, იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დირექტორობიდან განთავისუფლებას ითხოვდა. რაიკომის ბიურომ იანვრის ბოლოს იმსჯელა ო. დონინჯაშვილის შესახებ. ბიუროზე არა მარტო დირექტორის შესახებ იყო მსჯელობა, არამედ მთელ მეურნეობაზე, სოფლის ავ-კარგზე, ადამიანებზე. ბიუროს წევრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უნდა დათანხმებულიყვნენ დირექტორის თხოვნას. ასეც მოხდა, იგი თავისი განცხადებით განთავისუფლდა მეურნეობის ხელმძღვანელის პოსტიდან. ეს ყველაფერი აქამდე არსებული წესის მიხედვით მოხდა.

ახლა მთავარი წინ იყო — ვინ იქნებოდა მეურნეობის ხელმძღვანელი. დირექტორის კანდიდატურების შერჩევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად მოხდა.

თ. მათიაშვილი — პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი: რაიკომის ბიუროს წევრები ვეყაივთ მატნის მეურნეობის მშრომელებთან. ვესაუბრეთ აქტივს. გარდაქმნის ამ ეტაპზე მეურნეობის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის, თვითდაფინანსებისა და თვითთანაზღაურების დროს მეურნეობის კოლექტივურად გაძღოლის საქმე წინა პლანზე დგება. მშრომელთა სტიმულირება, სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მასშტაბი მთლიანად იქნება დამოკიდებული მუშაობის საბოლოო შედეგებზე, გამომუშავებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების რაოდენობასა და ხარისხზე. ასეთ დროს კოლექტივის კეთილდღეობა დამოკიდებულია ხელმძღვანელთა უნარზე და, რაღა თქმა უნდა, იმაზე რომ შშრომელებსაც უნდა ჰქონდეთ ხელმძღვანელის არჩევაზე ზემოქმედების, მისი საქმიანობის გაკონტროლების რეალური შესაძლებლობანი. მ. ს. გორბაჩოვის სტატიებით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ „მომწიფდა გარდაქმნების, არჩევითობის საწყისების საყოველთაო გამოყენების საფუძველზე საწარმოთა ხელმძღვანელი კადრების ფორმირების პროცესის დემოკრატიზაციის საჭიროება, ეს, როგორც მოგეხსენებათ, ნიშნავს, რომ უნდა შეიქმნას თვისებრივად ახალი სიტუაცია, პრინციპულად სხვაგვარი ხასიათი მიენიჭოს წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობას, არსებითად გაიზარდოს კოლექტივის როლი და პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგებისათვის“.

ერთი სიტყვით, მატანში, ჩვენს რაიონში პირველად, საფუძველი დაედო ხელმძღვანელის არჩევის ახლებურ მეთოდს. დირექტორის თანამდებობაზე სოფელმა ორი კანდიდატურა წამოაყენა. ვის არიან ისინი? ან რატომ წამოაყენეს დირექტორად მათი კანდიდატურები?

ერთი საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი მერაბ ბაგაურია, ხოლო მეორე აგროგანყოფილების უფროსი ბრიგადირი ვალერიან ტურაშვილი. სოფლის მშრომელები მათ კარგად იცობენ, ენდობიან. ისინი შემთხვევით არ დაუსახელებიათ დირექტორის პოსტზე. კანდიდატურის წამოყენება ერთია, არჩევა — მეორე. სიახლე სწორედ ის არის, რომ დირექტორი მშრომელებმა ფარული კენჭისყრით უნდა აირჩიონ. ამისათვის ერთს კი არა, ორივე კანდიდატურას უნდა უყარონ კენჭი. დაინიშნა მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების კრება.

არჩევნებში მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების უმრავლესობა მონაწილეობდა. არჩევნებმა წესების ზუსტად დაცვით ჩაიარა. ხმის დამთვლელმა კომისიამ დათვალა ხმების რაოდენობა და აღმოჩნდა, რომ მერაბ ბაგაურმა 63 ხმა მიიღო, ხოლო ვალერიან ტურაშვილმა — 74. არჩევნების შედეგად, მეურნეობის დირექტორი ვალერიან ტურაშვილი გახდა.

საინტერესოა მეურნეობის მშრომელთა აზრი აღნიშნული წესით დირექტორის არჩევის შესახებ.

ნუგზარ ხოხობაშვილი — მეორე ბრიგადის ბრიგადირი: წარმომადგენელთა კრების მონაწილეებს ეგონათ, მათ შორის მეც, რომ არჩევები ძველებურად ფორმალური იქნებოდა. ვიღაცამ რეპლიკაც კი ისროლა — დირექტორი გადარჩეულიცა გყავთ და არჩეულიცო. რატომღაც გვეგონა, რომ დირექტორად მერაბ ბაგაური გავიდოდა, მაგრამ შედეგები დაგვწმუნდით, რომ არჩევნებზე არავის არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია. არჩევნებს ნამდვილი დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა.

მარიამ ჯანიბეგაშვილი, პენსიონერს ვეკითხებით: ქალბატონო, თქვენ ესწრებოდით წარმომადგენელთა კრებას, მონაწილეობდით არჩევნებში, რა აზრისა ხართ?

— დიახ, ვესწრებოდი კრებას, არჩევნებშიც მივიღე მონაწილეობა.

— ვის მიეცით ხმა?

— საარჩევნო წესის დარღვევა იქნება, თუ ვიტყვი, ვის მივეცი ხმა, მაგრამ აქვე დავძენ, რომ ორივე კანდიდატურა ღირსეული იყო, რაც მთავარია, ორივე ჩვენი სოფლის შვილები არიან და კარგადაც ვიცნობ მათ, მაგრამ, რაკი ვალერიან ტურაშვილის კანდიდატურამ გაიმარჯვა, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელი უფრო მეტად მას ენდობა.

— თქვენ როგორ მიგაჩნიათ? — ვეკითხებით სკკპ წევრს **ეფუნა ჯანიბეგაშვილს.**

— მეურნეობის მშრომელთა წარმომადგენლებმა, — ამბობს ოფუსუდანი — მუშებთან შეთანხმებით ყველაფერი გათვალისწინეს — განათლება, სპეციალობა, ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების უნარი, გაწეული შრომის მიხედვით დამსახურება, ხელმძღვანელის თვისებები და სხვა. როგორც ჩანს, ვალერიან ტურაშვილმა საქმით პაექრობაში მეტი ხმა მიიღო. თუმცა მერაბ ბაგაურსაც ვერ დავდებთ წუნს, კარგი კაცია. გული არ უნდა გიიტეხოს.

ნასაღამევია გარშაულაშვილი, არჩილ მამუკელაშვილი, არჩილ ტურაშვილი, შოთა ნარუსლიშვილი და სხვები ვენახში ვნახეთ, ვაზის ძირებს ბარავდნენ. არჩევნებით კმაყოფილი არიან. მათ ერთსულოვნად თქვეს ახალი დირექტორი ფიზიკურ შრომაში ჩვენთან ერთად არის ნაწრთობი, იცის ჩვენი ავიცა და კარგიც, ჩვენი კაცია, უფრო კარგად მოგვეხედავსო, შრომის ნორმები გვაქვს გადიდებული, ამაზეც იზრუნებსო.

გზად მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, არჩევნებში დირექტორობის კანდიდატი მერაბ ბაგაური დაგვემგზავრა. მერაბს გულგატეხილობისა არაფერი ემჩნეოდა. კმაყოფილიც კი მოგვეჩვენა. მან თქვა:

— ამ წესით არჩეული დირექტორი მორალურად კმაყოფილი უნდა იყოს და ჯან-ღონე, უნარი, ცოდნა, გამოცდილება არ უნდა დაზოგოს, რათა თანასოფლელებს იმედი გაუმართლოს, მშობლიური სოფელი ასახელოს, უფრო გაალონიეროს. მას აქვს ამის უნარიცა და საშუალებაც. ჩვენც აქ არა ვართ? მხარში ამოვუდგებით.

ერთი სიტყვით, დემოკრატიული პრინციპების გაფართოება სოფლად უფრო მეტად მკვდრდება, მშრომელ კაცს რწმენას განუმტკიცებს, ახალისებს შრომაში. უბრალო საქმე ხომ არ არის — დირექტორს სოფელი ირჩევს. ეს ახალ დირექტორს დიდ, ძალიან დიდ მოვალეობას აკისრებს.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

განიხილავენ კანონის პროექტს

თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში მიმდინარეობს საბჭოთა სოციალისტური რეპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის პროექტის განხილვა. ახსნა-განმარტებით ღონისძიებებს ამ მხრივ ახორციელებს სპეციალური საბუშაო ჯგუფი. უკვე შემოდის წინადადებები, რომელთა ერთ ნაწილსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

1. მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონის პროექტის პირველი თავის მეორე მუხლის მეოთხე პუნქტში პირველი აბზაცის ბოლოს, სადაც წერია „მომხმარებელთა მოთხოვნის ყველაზე სრული დაკმაყოფილებისათვის“, დაემატოს: „მსხვილ საწარმოებსა და გაერთიანებებში შეიქმნას საპატენტო-სალიცენზიო და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური სამსახური, ასევე საპატენტო-ტექნიკური ინფორმაციის ფონდი“.

2. პირველი თავის მეოთხე მუხლის მეოთხე პუნქტის პირველ აბზაცში, სადაც წერია „ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი“, დაემატოს „ასევე სარგებლობისათვის ურთიერთხელსაყრელ პირობებში გადასაცემ მოწინავე ტექნოლოგია პატენტირებული ლიცენზიით“.

3. მესამე თავის მეთერთმეტე მუხლის პირველ პუნქტში პირველი აბზაცის ბოლოს ჩაემატოს: „ასევე ცალკეული გამომგონებლები ხელშეკრულების შესაბამისად“.

4. მესამე თავის მეთერთმეტე მუხლის მეხუთე პუნქტის მეორე აბზაცის ბოლო ნაწილში, სადაც წერია „დისციპლინარული პასუხისმგებლობა“ ჩაემატოს: „ასევე წარმოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში გადაეცეს სასამართლო ორგანოებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე“.

5. მესამე თავის მეთორმეტე მუხლის პირველი პუნქტის დასაწყისში, სადაც წერია „საწარმო მოვალეა...“ დაიწყოს ასე:

„საწარმო მოვალეა შესაბამისი ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით ეფექტიანად გამოიყენოს...“

ო. ჟლენტი,
თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

წარდგენილია რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

მადლით აღბეჭდილი შემოქმედება

ალბერტ ტატიშვილი ქართული ვოკალური საშემსრულებლო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი გამორჩეული ინდივიდუალობის მქონე იშვითი ტემბრის მძლავრი და ელვარე სოპრანო ქართული საოპერო სცენის მშვენებაა. არანაკლებ საგულისხმოა, რომ მომღერლის უტყუარი ნიჭი შესაძლებლობას ქმნის ჩვენი საოპერო თეატრის რეპერტუარს შეემატოს იმ კატეგორიის სპექტაკლები, რომლებიც იშვიათად, ან სრულიად ვერ იდგმება მრავალი და მრავალი დასის მიერ. გამორჩეულ ბუნებრივ მონაცემებთან ერთად საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ს. ტატიშვილის პროფესიულობით აღბეჭდილი ოსტატობა, ხმის თავისუფალი ფლობის უნარი, ცეცხლოვანი ტემპერამენტი, სცენური ეფექტურობა. მის მიერ ხორცშესხმულმა ვოკალურ-სცენურმა სახეებმა ქართული საოპერო საშემსრულებლო ხელოვნების საუკეთესო მონაპოვართა რიცხვში ღირსეული და საკუთარი ადგილი დაიკავეს.

მდიდარი და შინაარსობრივად ვრცელია ს. ტატიშვილის საოპერო რეპერტუარი. იგი მოიცავს განსხვავებული შემოქმედებითი ხელწერის კომპოზიტორთა, განსხვავებული ეპოქისა და სტილის ქმნილებებს, რაც თავისთავად მრავლისშეტყველია. თუმცა რეპერტუარის სიუხვეზე სრული შთაბეჭდილების ჩამოსაყალიბებლად ურიგო არ იქნება დავასახელოთ ყველა ის საოპერო როლი, რომლებიც მომღერალმა შემოქმედებითი გზის დასაწყისიდან, ანუ თბილისის საოპერო თეატრში მოსვლის დღიდან შეასრულა. უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა აღინიშნოს ს. ტატიშვილის წვლილი ეროვნულ ლიტერატურულ გმირთა სცენურ ხორცშესხმაში. ესენია — ნესტანი შ. მშველიძის ოპერაში „ამბავი ტარიელისა“, თამარი ო. თაქთაქიშვილის ოპერაში „მთვარის მოტაცება“, და, უპირველესად კი ეთერი ჩვენს უკვდავ „აბესალომ და ეთერში“. ტატიშვილისეული ეს შესრულება საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ გრამფირფიტაზე აღბეჭდა. რუსული ოპერებიდან ს. ტატიშვილს შესრულებული აქვს ლიზას ს. პროკოფიევის „პიკოვა ქალი“ და „ევგენი ონეგინი“. არა მარტო თბილისის, საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის, ზოგჯერ კი უცხოეთის საოპერო სცენებზეც წარმატებით გამოსულა მომღერალი დასავლეთევროპულ საოპერო ნაწარმოებებში. საკმარისია დავასახელოთ იდას და ამენრისის ურთულესი პარტიები ჯ. ვერდის ოპერაში „აიდა“, ლეონორა და დეზდემონა ვერდისავე „ტრუბადურსა“ და „ოტელოში“, ტოსკა ჯ. პუჩინის ამავე სახელწოდების ოპერაში. საუცხოოა ტატიშვილისეული მგზნებარე სატუცა პ. მასკანის ოპერაში „სოფლის პატიოსნება“. შემოქმედებითი მიღწევა იყო აგრეთვე მისი ადრეული დონა ანა მოცარტის „დონ ჟუანიდან“.

ს. ტატიშვილის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში ღირსსახსოვარი ფურცელი ჩაწერა მისმა გამარჯვებამ აიდას შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურს-შერჩევაში. მან ჩვენი დროის მუსიკალური თეატრის ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორის ვ. ფელზენშტაინის ხელმძღვანელობით შეისწავლა ეს პარტია და მთელი სეზონის მანძილზე წარმატებით ასრულებდა კიდევ ბერლინის „კომიში ოპერის“ სცენაზე. ნაკლებ საგულისხმო, როდია ის ფაქტიც, რომ ს. ტატიშვილმა საქართველოში მოწვეულ გერმანელ მოღვაწეებთან, რეჟისორ ჰ. ვეიდკინდთან და დირიჟორ ზ. კიოლერთან ერთად შეისწავლა რ. ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელის“ და „ლოენგრინის“ წამყვანი პარტიები და გერმანული საოპერო ხელოვნების ამ ფასდაუდებელი ნიმუშების ქართულ სცენაზე დადგმაში აშკარად დიდი წვლილი შეიტანა.

საოპერო სცენაზე ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად ს. ტატიშვილი აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობასაც ეწევა და საოპერო ნაწყვეტების შესრულებასთან ერთად უყურადღებოდ არ ტოვებს არც კამერულ მუსიკას. მისი კამერული რეპერტუარი, საოპეროს ანალოგიურად, მრავალფეროვანია. იგი ასევე მდიდარია სტილური, შინაარსობრივი თვალსაზრისით და დასავლეთევროპელ კომპოზიტორთა ვოკალურ თხზულებებთან ერთად, რაღა თქმა უნდა, ეროვნულ, ქართულ ქმნილებებსაც გულისხმობს.

უმართებულო იქნებოდა, უყურადღებოდ დაგვეტოვებინა ს. ტატიშვილის საგასტროლო მოღვაწეობა. იანვრის მიწურულს, ტრიუმფით ჩაიარა ს. ტატიშვილის კამერულმა კონცერტმა მოსკოვის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ს. ტატიშვილის ვოკალურ-სცენური ხელოვნება ხასიათდება მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, ჰეშმარიტი გატაცებით, ემოციურობით, ხმის რეგისტრული სიმდიდრით და ფართო დიაპაზონით. უეჭველია, ეს თვისებებიც გარკვეულ როლს ასრულებს იმაში, რომ მომღერლის მიერ შექმნილი საოპერო სახეები დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენენ. ყველა ეს თვისება, ამასთანავე ხანგრძლივი გამოცდილება, რომელიც მომღერალს შესძინა სამოცვაწეო ბიოგრაფიის ზემოდასახელებულმა ფაქტებმა, გახდა საწინდარი და განმსაზღვრელი იმ გამორჩეული შემოქმედებითი გამარჯვებისა, რომელიც ს. ტატიშვილს მოუტანა სალომეს მხატვრული სახის ხორცშესხმამ რ. შტრაუსის ამავე სახელწოდების ოპერაში.

როგორც ცნობილია, რ. შტრაუსის ოპერამ „სალომე“ და, განსაკუთრებით მისმა ცენტრალურმა სახემ, ურთულესის სახელი დაიმკვიდრეს მსოფლიოს საოპერო ისტორიაში. სალომე, უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივი დიალაზონის უზარმაზარ მოცულობას ითვალისწინებს, რაც თავისთავად ერთობ იშვიათია. მაგრამ აქ არანაკლებ ანგარიშგასაწევია წმინდა საშემსრულებლო, როგორც ტექნიკური, ისე ემოციურ-ფსიქოლოგიური სირთულეები, რომელთა დაძლევა ხელეწიფებათ მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი კლასის შემსრულებლს. თითებზე ჩამოსათვლელია სოლისტები, და აქედან გამომდინარე, საოპერო დასები, რომელთაც თავსატეხი სირთულეებთან უხვად დატვირთული ეს საოპერო პარტიტურა საჯიროდაო ქვად აურჩევიათ. XX საუკუნის საოპერო მუსიკის ამ სწორუპოვარი შედევრის ქართულ სცენაზე დადგმის შესაძლებლობა მხოლოდ იმან განაპირობა, რომ დასში ირიცხებოდა იმგვარი პოტენციის საშემსრულებლო ძალა, როგორიც ცისანა ტატიშვილია. „სალომეს“ გახმაურებულ პრემიერაზეც ცხადი გახდა, რომ ამ ნაწარმოების შესრულებით ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელი გადაშალა ქართული საოპერო თეატრის მატიანეში. რ. შტრაუსის ოპერამ ფართო ინტერესი აღძრა თეატრის 1984 წლის მოსკოვური გასტროლების დროს. იგი ერთსულოვნად აღიარეს საგასტროლო რეპერტუარის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ სპექტაკლად. ტატიშვილისეული ინტერპრეტაციის ინდივიდუალობა და დიდი ოსტატობა კი საკავშირო პრესაში აღინიშნა. მას არა ერთი და ორი აღფრთოვანებული ფურცელი მიეძღვნა, და განა აქ მოყვანილი ფაქტოლოგიური მოკლე ნუსხაც არ არის საკმარისი, რათა ცხადი გახდეს, თუ რა ბუნებრივი, გასაგები და მართებულია ცისანა ტატიშვილის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პრემიერის ფართო აღიარება.

რუსუდან ჟუთათელაძე.

ეცნობიან საქართველოს

სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ევროპის ახალგაზრდობის ეროვნული კომიტეტების საბჭოს დელეგაცია. იგი რამდენიმე დღეა ეცნობა საქართველოს.

11 თებერვალს დელეგაცია მიიღეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში. რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. მარგველიძე სტუმრებს ესაუბრა საქართველოს ძველი ისტორიისა და დღევანდელობის შესახებ.

ევროპის ახალგაზრდობის ეროვნული კომიტეტების საბჭოს პრეზიდენტმა ტორილ იონსენმა შეხვედრაზე დელეგაციის სახელით მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ მიეცა შესაძლებლობა სწვეოდა საქართველოს.

(საქინფორმი).

12 თებერვალი ● საკდესი იუწყება

ინსიდეი

ფაქტები • მოვლენები

მილიონთა ინტერესების საწინააღმდეგოდ

მსოფლიო საზოგადოებრიობა გმობს ბირთვულ აფეთქებებს ნევადაში

ბონი. ნევადის პოლიგონზე ახალი ბირთვული აფეთქება მოწმობს, რომ თეთრი სახლის ხელმძღვანელები უგულებელყოფენ მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის ინტერესებს, მათს იმედს, რომ ვაშინგტონში აუარად იღებენ გონების ხმას და მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამენ ომის საფრთხის ლიკვიდაციის გზაზე. ეს ნათქვამია დასავლეთ გერმანიის ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციის „კრეფელდის ინიციატივის“ აქ გავრცელებულ განცხადებაში. შექმნილ სიტუაციაში, ნათქვამია დოკუმენტში, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ვაშინგტონის მოკავშირეებს, მათ შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ბონის მთავრობამ უნდა მოიწოდოს ამერიკის ადმინისტრაციას შეწყვიტოს ბირთვული აფეთქებანი და დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ამის თაობაზე. „ვინც არ იმოქმედებს, იგი გამალებული შეიარაღების ესკალაციის თანამონაწილე გახდება“, — ხაზგასმულია განცხადებაში.

ბაღდადი. შეერთებული შტატების მიერ ნევადის უდაბნოში მოწყობილი ბირთვული აფეთქება, მისი განზრახვა განაგრძოს ბირთვული გამოცდები „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში, წერს გაზეთი „**ალ-ბაანი**“, ეწინააღმდეგება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს. საბჭოთა კავშირის მიერ დაწესებულ ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივ მორატორიუმს, სამწუხაროდ, არ მოჰყვა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივი ღონისძიებანი განიარაღების დარგში. ბირთვული გამოცდების შეწყვეტა ნიშნავდა გამალებული შეიარაღების შეკავებას. რეიგანის ადმინისტრაციის სიჯიუტეს ამ საკითხში, როცა საბჭოთა კავშირი აყენებს კონკრეტულ ინიციატივებს განიარაღების გზაზე წინსვლისათვის, შეიძლება მოჰყვეს ბირთვული არსენალების შემცირების ისტორიული შესაძლებლობის დაკარგვა.

ალ-ზირი. ამერიკის ადმინისტრაციას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ბირთვული კატასტროფის საშიშროების გაძლიერებისათვის, წერს გაზეთი „**აშ-შაბაბ**“. ბირთვული გამოცდები უდიდეს საფრთხეს უქმნის ყველა ხალხს, იწვევს მასობრივი განადგურების იარაღის არსენალების ზრდას, რომლებიც მოსპობენ ყოველივე ცოცხალს დედამიწაზე. გაზეთი მკაცრად გმობს შეერთებული შტატების პოზიციას, რომელმაც ყურად არ იღო გონების ხმა და „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ გულისათვის უარი თქვა შეეწყვიტა ბირთვული აფეთქებანი.

კაირაკასი. ნევადის პოლიგონზე შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული ბირთვული აფეთქება აბუჩად აგდებაა მთელ საერთაშორისო გაერთიანებისა, ქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებს საბჭოთა კავშირი, ეს განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ვენესუელის მშვიდობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ რიკარდო მ. მარტიმ. ყველა პატიოსან ვენესუელელს მკაფიოდ აქვს გააზრებული საშიშროება, რომელიც ემუქრება კაცობრიობას, და მთლიანად უქერენ მხარს სსრ კავშირის მიერ წამოყენებულ ინიციატივებს, ბირთვული არსენალების მოსპობას რომ ისახავენ მიზნად.

ლაგოსი. ნევადაში ახალმა ბირთვულმა აფეთქებებმა ცხადყო, რომ რეიგანის ადმინისტრაცია განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების წინააღმდეგია, განაცხადა ნიგერიის შრომის კონგრესის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ლასისი ოსუნდემ. ამერიკის ხელმძღვანელობის მოქმედება მიზნად ისახავს ძირი გამოუთხაროს საერთაშორისო უშიშროებას და მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირთან შედარებით. ეს მოქმედება მოწმობს, რომ ამერიკის მხარეს არ სურს რეალობის გრძნობა გამოიჩინოს. (საკდესი).

თავხედური ნაბიჯი

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაწყო მორიგი ბირთვული აფეთქება

ვაშინგტონი. შეერთებულმა შტატებმა, რომელიც უგულებელყოფს ამერიკელი და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთხოვნებს — ბოლო მოელოს ბირთვულ აფეთქებებს, წელს უკვე მეორედ გამოსცადა ბირთვული იარაღი. ოთხშაბათს ნევადის პოლიგონზე „ტონეროს“ კოდური სახელწოდებით მოწყობილი აფეთქების ხიმძლავრე შეადგენდა დაახლოებით 20 კილოტონას, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს საპროტესტო დემონსტრაციები ნევადის პოლიგონთან, რეიგანის ადმინისტრაციამ წელს უკვე მეორედ განახორციელა ბირთვული გამოცდა დასახულ ვადაზე უფრო ადრე. მაგალითად, წინა აფეთქება მოეწყო სამ, და არა ხუთ თებერვალს, როგორც დაგეგმილი იყო, როდესაც ნევადაში ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კუთხიდან უნდა ჩასულიყვნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რათა გადაეჭრით დაეგმოთ გამალებული ბირთვული შეიარაღება, რომელსაც სულ უფრო აძლიერებს ადმინისტრაცია. მიუხედავად ამისა, მათ მაინც გამართეს დემონსტრაცია.

ახლანდელი აფეთქება ასევე დაგეგმილ ვადაზე ერთი დღით ადრე მოეწყო.

„რეიგანის ადმინისტრაციამ უარი თქვა შეერთებოდა საბჭოთა მორატორიუმს და ცხადყო, რომ არარაად აგდებს საზოგადოებრიობის მოთხოვნებს“, — აღნიშნა „მშვიდობისათვის მებრძოლი კლდოვანი მთების ცენტრის“ ორგანიზაციის აქტივისტმა ჩეტ ჩოზეუსკიმ. ნევადის აფეთქებები, განაცხადა საერთაშორისო ორგანიზაცია „გრინპისის“ წარმომადგენელმა, — ეს არის მთელი კაცობრიობის აბუჩად აგდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, რომ ბირთვული გამოცდის შეწყვეტას მოითხოვს ამერიკელთა უდიდესი უმრავლესობა. „გამალებული შეიარაღების დაძლევის ერთადერთი საშუალება ის არის, რომ აღარასოდეს აღარ გამოიცადოს ბირთვული იარაღი, რომელიც განადგურებას უქადის კაცობრობას, — თქვა კალიფორნიელმა მასწავლებელმა რუთ ენ უაიტმა გაზეთ „ოუ-ეს-ეი თუდეის“ კორესპონდენტთან საუბრისას, რომელსაც სურდა გაეგო, თუ როგორ ეკიდებიან რიგითი ამერიკელები ნევადის გამოცდებს. „ის, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ჩადის ნევადაში, არ არის სწორი, — ხაზგასმით აღნიშნა მიჩიგანელმა როი სპონმა. — თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა შეიარაღებისადმი კონტროლი, მაშინ ერთხმად უნდა ვთქვათ: კმარა. აღარავითარი გამოცდა!“. „ბირთვული აფეთქებამ აკრძალა უდიდეს წვლილს შემატება გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტას“, — განაცხადა ნიუიორკელმა ინჟინერმა კრისტოფერ კორონეოსმა.

ესეც შენი „თავისუფალი პრესა“

რედაქტორის გედი ამერიკაში

ნიუ-იორკი. კენ ფოტნბერიმ, გაზეთ „მაკორმიკ მესენჯერის“ რედაქტორმა მწარე გამოცდილებით იწვნია, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ამერიკულად.

წელიწად-ნახევრის წინ იგი დიდი ქალაქიდან საცხოვრებლად გადავიდა პროვინციაში, სამხრეთ კაროლინის შტატის დაბა მაკორმიკში, ფოტნბერი გაეცალა ქალაქის აუზაურს, რათა პროვინციაში ეპოვა სიწრფელისა და უშუალობის ატმოსფერო, რომელიც, როგორც იგი დარწმუნდა, დიდ ქალაქებში გამქრალია. მან დატოვა ერთ-ერთი დიდი გაზეთის რედაქტორის პოსტი და სათავეში ჩაუდგა გაზეთ „მაკორმიკ მესენჯერს“. როგორც თავად აღიარა, იგი დარწმუნებული იყო, რომ მოვლენათა ობიექტური და პატიოსანი გაშუქება სწორედ ის არის, რაც პატივისცემით სარგებლობს პროვინციის რიგითს მცხოვრებთა შორის.

მაგრამ საკმარისი იყო „მაკორმიკ მესენჯერის“ ახალ რედაქტორს გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებინა ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობაში გამეფებული კორუფციის შესახებ მწვავე მასალების სერია, რომ იგი აღვირახსნილი დევნის ობიექტად გადაიქცა. მისი სახლის ფანჯრებს ქვა დაუშინეს, ქუჩაში შესასვლელ ფართან თვითნაკეთ ბომბებს უფეთქებდნენ. თვით ფოტნბერის, მის ცოლ-შვილს გასაქანს არ აძლევდნენ, შეურაცხყოფდნენ და ემუქრებოდნენ. „ცხადად მაგრძნობინეს, — განაცხადა ჟურნალისტმა ენ-ბი-სი ტელეკომპანიის კორესპონდენტისადმი ინტერვიუში, რომ უნდა გავეცალო აქაურობას. მე მინდოდა ახალი ამბები მგებეჭდა ისე, როგორც არის, შემენარჩუნებინა ობიექტურობა, მაგრამ ასეთი გაზეთი აქ არავის სჭირდება“.

შედეგი, დასძენს ენ-ბი-სი, ფოტნბერისათვის სავალალო გამოდგა. იგი იძულებულია ფარ-ხმალი დაყაროს. ჰაიდის სახლს, გაზეთს და საერთოდ მიდის მაკორმიკიდან. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება კი „ერთსართულიან ამერიკაშიც ისევე ილუზორული გამოდგა, როგორც მრავალსართულიანში“.

● ინდოეთ-პაკისტანი

სროლა საზღვარზე

დელი. პაკისტანის ჯარებმა სრულიად უსაბაბოდ ცეცხლი დაუშინეს ინდოეთის სახაზინო ტემპერატურს ქალაქ პუნჩის სექტორში საკონტროლო ხაზის რამდენიმე მონაკვეთზე, რომელიც ინდოეთისაგან გამოყოფს პაკისტანის მიერ ოკუპირებულ ჯამუსა და ქაშმირის შტატის ნაწილს. როგორც გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ იუწყება, ინდოეთის მხარე იძულებული იყო საპასუხო ცეცხლი დაეშინა. სროლა რვა საათს გრძელდებოდა.

◆ ჩინეთი

უჩვეულო ტემპერატურა

პეკინი. შანხაიში აყვავდა ჩინური ქლიავი — მეიხუა. მეტეოროლოგები აღნიშნავენ, რომ ეს ჩვეულებრივზე დაახლოებით 20 დღით ადრე მოხდა. ამის მიზეზია ის, რომ აქ არაჩვეულებრივად თბილი ამინდი დადგა. გუშინ ჩინეთის ყველაზე მჭიდრო დასახლებულ ქალაქში რეგისტრირებულია ბოლო ასზე მეტი წლის მანძილზე ამ პერიოდისათვის ყველაზე მაღალი ტემპერატურა — 26,8 გრადუსი ცელსიუსით. ბევრმა შანხაელმა უკვე ჩაიცვა ხაზაფულო ტანსაცმელი. როგორც სინხუას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ქალაქის ქუჩებში დიდი მოთხოვნაა ნაყინსა და გამაგრილებელ წყლებზე.

ამინდის სამსახურის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე ტემპერატურის მკვეთრი გადიდება გამოიწვია ციხხაი-ტიბეტის ზეგანზე ჩამოყალიბებული მაღალი წნევის ზონიდან თბილი ჰაერის მასების შემოჭრამ.

ესეც შენი „თავისუფალი პრესა“

ფოტოინფორმაცია

ყოველდღე ავღანელი მშრომელები მოუთმენლად ელიან გაზეთის ახალი ნომრის გამოსვლას. მათი იოლად გასაგები ტექსტი, სრული სიმართლე ქვეყნის ხელმძღვანელობის სამშვიდობო ინიციატივის შესახებ არავის ტოვებს გულგრილს.

სურათზე: ბალხის პროვინციის გლეხები ეცნობიან გაზეთის მასალებს ეროვნული შერიგების შესახებ.

საკდესის ფოტო.

სტრიქონები ინტერვიუდან

უკეთ რომ გავუგო

სტიქია და ადამიანები

ძმობის მოვალეობით

... **ბავშვები** ერიმეულით შემოგვეგება მარნეულის მექარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის ახალი სახლის ერთ-ერთი ბინა. აქ, ისევე როგორც ამ შენობის სხვა სართულებზე, დასახლდნენ მესტიის რაიონის სოფელ მულახის მცხოვრებნი.

გავეცანით ზურაბ მარგიანის, მესტიის რაიკოოპერატივის მუშაკის ოჯახს. სამზარეულოში გაზის ქურასთან ფუსფუსებს მისი მეუღლე ქალი. ზურაბის დედა გაიანე შვილიშვილებს - დასტრიალებს თავს. ისინი ოთხნი არიან: პირველკლასელი ჯონი, მანანა და რაჟდენი, და ორი წლის თამრიკო.

ბინაში სიმშვიდე და მყუდროებაა: პარკეტი მოკრიალებულია, ფარდები დაუთოებული, სარკესავით ლაპლაპებს ახალი ავეჯი, საწოლებზე გადაფენილია შალის პლედები. თითქოს არც ყოფილა ამასწინანდელი ტრაგიკული მოვლენები, როცა სტიქიორმა უბედურებამ გააპარტახა სოფელ მულახის აწყობილი ცხოვრება და ყოფა, მის მცხოვრებთ დაატოვებინა მშობლიური კერა.

რა თქმა უნდა, მომხდარი ამბავი არ წარიშლება მეხსიერებაში.

— ზავამა ბევრი უბედურება დაგვატეხა თავს, — თქვა ოჯახის უფროსმა მარგიანმა, — შეიწირა ადამიანების სიცოცხლე, დაანგრია შენობები და გზები, დაირღვია ყავშირი გარე სამყაროსთან. ასეთი რამ ჩვენში მოხუცებსაც კი არ ახსოვთ: თოვა, რომელიც მრავალი დღის განმავლობაში არ შემწყდარა, ძლიერი ქარი და... წვიმები. ყოველივე ამან გააძლიერა ახალი ზავავების ჩამოწოლის საფრთხე. გადაწყვიტეს ხალხის გახიზნვა. მაგრამ ამინდის გამო ვერტმფრინავებს უჭირდათ მესტიაში ჩამოფრენა. მხოლოდ სამ თებერვალს მოახერხეს ჩვენი ქუთაისში ჩაყვანა...

გახიზნა ზუსტად და მშვიდად მიმდინარეობდა. ადამიანები სოფლებს ტოვებდნენ ტანთ შეჩჩენილი სამოსის ამარა, რაიმეს წამოღება შეუძლებელი იყო. მულახიდან რაიონული ცენტრის აეროდრომამდე რვა კილომეტრი დათოვლილი ბილიკია, რომლის გაკვალვაც მხოლოდ ტრაქტორმა მოახერხა. მართლაც რომ, სიცოცხლის გზა იყო ეს გზა...

ოთხ თებერვალს გვიან ღამით ავტობუსებმა მულახელები მარნეულში ჩამოიყვანეს, სადაც მათ დიდი ხანია ელოდნენ. ადგილობრივი მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გულის კარნახით, ძმობის მოვალეობით მიიღეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება გადაეცათ სტიქიური უბედურების გამო დაზარალებულთათვის ახლახან აშენებული ორმოცდარვაბინიანი სახლი. რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობამ უსასყიდლოდ გააწყო ბინები ავეჯით, უზრუნველყო ჭურჭლით, ლოგინით, სხვადასხვა საოჯახო ნივთებით, გადმოსახლებულნი სურსათითაც მომარაგეს.

— ბინაში შესასვლელთან შემოგვეგება აღმოსავლეთის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გარაჯა ბადალოვი, — იხსენებს თავის პირველ დღეს მარნეულში ელენა ჟორჟოლიანი. — ეს მეურნეობა ახლაც შეფობს ჩემს ოჯახს, მისი წარმომადგენლები ყოველდღე მოდიან, ყოველმხრივ გვეხმარებიან. მათ ყველაფერი მოიფიქრეს და გაითვალისწინეს, ყოველი წვრილმანიც კი. ქალთათა სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე დიდ ოთახში მიხაკები, ჩემი საყვარელი ყვავილები დამხვდა.

სახლთან, სადაც დასახლდნენ სვანების ოჯახები, მორიგეობდა ექიმების ბრიგადა. მათ გასინჯეს თითოეული მათგანი, დაუნიშნეს და მისცეს საჭირო წამლები. მათთან ერთად ჰედგოგები რეგისტრაციაში ატარებდნენ ბავშვებს. უკვე მეორე დღეს შადური და სპორტაკ მარგიანები, მათი მოგვარე ჯონი მარგიანი, სხვა ბუღლაები ბავშვები მერხებს მოუსხდნენ მარნეულის სკოლაში. უახლოეს დღეებში სამუშაოზე გავლენ გადმოსახლებული ოჯახების უფროსი წევრები. ამისათვის იზრუნა მარნეულის რაიაღმასკომმა, შეურჩია მათ საქმე უფინდელი სპეციალობის გათვალისწინებით. ყველაზე პატარებს კი ადგილობრივი საბავშვო ბაღები იღებენ.

— უზომოდ მადლიერი ვართ მარნეულელებისა, რომლებმაც სხვისი გაჭირვება გაითავისეს, თქვა კიდევ ერთმა სვანმა დივლა კვანტიანმა. — მთის ფერდობზე ჟქედან ახლოს ყველასათვის საჩინო ადგილზე წარწერილია გამონათქვამი: „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი". მძიმე განსაცდელის დღეებში სოფელ მულახის ყოველ ოჯახს შეემატა ძმები და დები, ქალაქ მარნეულისა და მარნეულის რაიონის მცხოვრებნი.

108 კაცს ელიან მულახიდან ბოლნისის რაიონის მცხოვრებნი. სამოცდაოთხი მთიელი უკვე ჩამოვიდა სოფელ თამარისში, ძირითადად ესენი ქურდიანები და თევდორიანები არიან. სამწუხაროდ, ოჯახების ყველა წევრმა ვერ მოიყარა თავი ერთად, ავდარმა შეუშალა ხელი დანარჩენების მესტიიდან გამოყვანას. შრომისუნარიან ჩამოსახლებულთა უმრავლესობამ უკვე დაიწყო მუშაობა ადგილობრივ მეფრინველეობის ფაბრიკაში, მალე მოეწყობა სამუშაოდ კიდევ ხუთი პედაგოგი და ორი ექიმი.

19 ოჯახი დასახლდა მეფრინველეობის ფაბრიკის საოჯახო სექტორში საცხოვრებლის ყოფილ შენობაში, სადაც ორ და სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინებია, ჩვიდმეტი ბავშვი წავიდა ადგილობრივ სკოლასა და საბავშვო ბაღში.

სვანეთიდან ჩამოსახლებულთა მიღებისათვის მოემზადნენ დმანისის რაიონში. რვა თებერვალს აქ ჩამოიყვანეს 103 კაცი, მალე ჩამოვა კიდევ ორმოცდაათი. ჩამოსახლებულნი რაიონული ცენტრის ორ ახალ, რესპუბლიკის სახელგრომრეწვის მიერ აშენებულ 24-ბინიან სახლში და 40-ბინიან კომუნალურ სახლებში შეასახლეს. დანარჩენების ჩამოსვლისათვის მომზადებულია კომფორტული ერთსართულიანი კოტეჯები.

გულთბილად, ძმურად მიიღეს და ეკეთილი საქმეროთი უზრუნველყვეს ჩამოსახლებულნი. მასპინძლებმა უფინარეს ყოველისა ბავშვებს მიხედეს. ისინი 44 არიან. ვინც პატარაა, შეიტანეს რაიცენტრის დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა სიებში, უფროსკლასელებს კი სპეციალურად გამოყოფილი ავტობუსები სოფელ განთიადის სუბუალო სკოლაში ატარებენ. იგი 3-4 კილომეტრით არის დამორებული მათ საცხოვრებელ ადგილს...

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები მზად არიან მიიღონ დანარჩენი ოჯახები, რომლებიც უამინდობის მიუხედავად ვერტმფრინავებით გამოსაყვან უბედურების რაიონებიდან.

აბა, დმანისელებზე უკეთ ვინ გაუგებს სტიქიური უბედურებით დაზარალებულთ. ხუთი წლის წინათ მათ გადაეტანეს ძლიერი მიწისძვრა, რომლისაგან მოყენებული ჭრილობების მოშუშებაში მთელი რესპუბლიკა ეხმარებოდა. იმ ძნელი დღეების გამოცდილებამ მოეწყობა მათ შეემსუბუქებინათ დმანისში ჩამოსახლებული მესტიის რაიონის სოფელ ჟუბარის მცხოვრებთა გასაჭირი, სტიქიის ახლანდელმა შემოტევამ რომ განაცდევინა მათ.

გვიან ღამით შეხვდნენ დმანისში სვანებს. შეიფარეს, გაათბეს, დააპურეს, წაიყვანეს სახლებში, სადაც ყველაფერი იყო, რაც საჭიროა ნორმალური ცხოვრებისათვის. ნემსით და ძაფით დაწყებული, ავეჯით, ტელევიზორითა და მაცივრით დამთავრებული — ყველაფერი შეიტანეს დმანისელებმა სვანების ახალ ბინებში. ავტობუსით მოატარეს რაიონი: ამოირჩიეთ ადგილი, რომელიც მოგეწონებათ, ფუ სახლის აშენებას მოინდომებთო.

სახელი, რომელიც დაუვიწყარია

მთელმა ქვეყანამ გაიგო 20 წლის აზერბაიჯანელი ჭაბუკის, საბჭოთა არმიის მეომრის რაპიპ მამედოვის გმირობის ამბავი. საქართველოს სოფელ ჭალადიდში სტიქიის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მან სიცოცხლის ფასად გადაარჩინა 28 ადამიანი, როცა ისინი დატბორილი ზონიდან გამოიყვანა. რიგითი ჯარისკაცის რ. მამედოვის ხსოვნას არასდროს დაივიწყებენ ხობის რაიონის მცხოვრებნი. მას მიეძღვნა სტენდი მარნეულის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. ასობით ადამიანი უცხადებს თანაგრძნობას ამ დღეებში რაპიპის მშობლებს. მაგლოობას უხდიან მათ მაგი შვილის, ნამდვილი ინტერნაციონალისტის აღზრდისათვის.

აქ, აგდამის რაიონის ყარატაღლის სასოფლო საბჭოს სოფელ მაპრიზლში, მოწინავე კოლმეურნეების გიულმალი და როზა მამედოვების ოჯახში ექვსი ბავშვი იყო. უფროსი, რაპიპი ეხმარებოდა მშობლებს ოთხი დისა და ძმის აღზრდაში, მან მხარში ედგა, როცა მამედოვების ოჯახის წევრებმა ბრიგადული იჯარის მეთოდით დაიწყეს მუშაობა. მას ძალზე უყვარდა ტექნიკა, სერიოზულად ემზადებოდა არმიაში სამსახურისათვის. რაიონული სამხედრო კომისარიატის მიმართვით დაამთავრა მექანიზატორთა კურსები, სწავლობდა მექანიზაციის ტექნიკუმში. რაპიპი ოცნებობდა მოკრივე ან მოჭიდავე გამხდარიყო, მაგრამ ამსახავები იცინოდნენ; არ გამოგიკვი, ადაგობა ხელს არ გიწყობსო.

სიმაღლე და კუნთები რომ მოავარი არ ყოფილა, რაპიპმა საბჭოთა არმიის რიგებში დაამტკიცა. სამსახურის პირველი დღეებიდანვე იგი ქვეგანაყოფის ერთ-ერთი საუკეთესო მეომარი გახდა და ასეულის კომკავშირული ბიუროს წევრადაც აირჩიეს.

— შარშან ნოემბერში რაპიპი შინ ჩამოვიდა, წაახალისეს შვებულებით ჩინებული სამსახურისთვის, — გაიხსენა სოფელ მაპრიზლის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანმა აბას რუსტამოვმა. — მაშინ ვკითხე, რა-გორ მსახურობ-მეთქი. მან გაიღიმა, თუ მეთაურები ხუთს შეაქებენ, ერთი მათგანი მე ვარ, თანასოფლელებს არ შევარცხვენო.

მოწინავე კომკავშირელმა, აზერბაიჯანის ერთ-ერთი პირველი მექანიზატორის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პანაპ მუხიევის შვილიმვილმა ბოლომდე მოიხადა ვალი. მისი ხსოვნა ცოცხლობს შვობლიურ სოფელში, მისი სახელი მიენიჭა ადგილობრივ სკოლას, რომლისთვისაც ახლა ახალი შენობა იგება. ამიერიდან რაიონში რაპიპ მამედოვის პრიზზე ყოველწლიურად გაიმართება სპორტული შეჯიბრებები.

მეომრის მამამ მოკლედ თქვა: „რაპიპი სხვაგვარად ვერ მოიქცოდა. მალე არმიაში წავა მისი ძმა საპიპი. დარწმუნებული ვარ, ისიც პირნათლად ემსახურება სამშობლოს".

სურათებზე: ჯავშანტრანსპორტიორი, რომელშაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა; სკოლაში, სადაც სწავლობდა რაპიპ მამედოვი, იხსნება მისი სახელობის მუზეუმი; გიულმალი და როზა მამედოვები შვილებთან საპიპთან, ამინასთან, ლეილასთან, რუსპარასთან და შოლასთან ერთად.

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტების ა. რუსაძისა და ი. ფლავოვის ფოტო.

სხვისმა გასაჭირმა შეძრა ყველა. სოფელ განთიადის მცხოვრები, გვირი დედა ნინო ციხელაძეული მივიდა რაიაღმასკომში: „ორსართულიანი სახლი მაქვს. აქ დავაყენე ფეხზე შვილები და შვილიშვილებიც გამოვზარდე. მესტიელებისათვის დამითმია იგი, მე კი უძველ ვაჟთან გადავედი".

უმეფე გულიევი, სიმონ ვერეშჩაგინი, ვლადიმერ პეტროსიანი, იუსუფ ვალიევი, პანტელეიმონ იეროუულო, აძირაჯ ბმდულაევი, ლამბია ხარალამპოვა, სონია ანიკიანი, დმანისის რაიონის ასობით სხვა მცხოვრები — ყველა ეროვნების წარმომადგენლები სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთ სთავაზობენ ჭერს, ყოველივეს, ვისაც რა შეუძლია.

მეზობლებს სვანებისათვის მოაქვთ მურაბა და მწნილი, ლილაუთენია უკაკუნებენ კარზე: რძე მოგიტანეთ, ეს-ეს არის მოწველილია. ყოველდღე ცხელი კერძები მიაქვს პენსიონერების მურზა და ახტონინა ვიბლიანებისათვის ღორსასუქებელი სამეურნეობათაშორისო გაერთიანების ეკონომისტს ეთერ პეტროვას. დმანისელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გადმოსახლებულებმა ახალ ადგილზე თავი ისე იგრძნონ, როგორც შინ, სწრაფად შეეძინონ მეგობრები.

ჩამოსახლებულთა ცხოვრება ნორმალურ, ჩვეულ კალაპოტში დგება: ბავშვები სკოლაში, სამუშაო ბაღში დადიან, მოზრდილები სამუშაოდ გავიდნენ — ყველასათვის გამოიხახა ადგილი და საქმე. სვანური სოფლის ეუბერინო სამოცი ოჯახი ცხოვრობს დმანისელებთან ერთად მეგობრულ ოჯახად. რაიონში მზად არიან მიიღონ კიდევ ექვსასი ოჯახი სტიქიური უბედურების ზონიდან. ეს ციფრი „ზემოდან" მოცემული ცირკულარიდან როდია, იგი ნაკარნახევია დმანისის რაიონის ადამიანების გულით.

თანადგომის

მისამართები

სტიქიური უბედურების წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკურ შტაბში საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან, ქვეყნის ყველა კუთხიდან კვლავ უწყვეტ ნაკადად მოდის დეპეშები. მათი ავტორები აცხადებენ, რომ მზად არიან დახმარება გაუწიონ უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს.

მოსკოვი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში დედაქალაქის ასობით მცხოვრები გზავნის წერილებს. უცხადებენ რა ღრმა თანაგრძნობას სტიქიით დაზარალებული საქართველოს რაიონების მცხოვრებთ, მოსკოველები ფულს რიცხავენ დახმარების ფონდში, მზად არიან გაემგზავრონ ადგილებზე საშველ სამუშაოებში მონაწილეობისათვის.

ხაზნა კიევი. უკრაინის კომუნისტებმა, მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, გულისტკივილით აღიქვეს ცნობა სტიქიური უბედურების შესახებ, რომელიც თავს დაატყდა დასავლეთ საქართველოს რაიონებს. მოდის ცნობები რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების კონკრეტული პრაქტიკული დახმარების შესახებ, რომელსაც ისინი უწევენ მოძმე ქართველ ხალხს. იმათ შორის, ვინც ერთ-ერთმა პირველმა გამოგვიწოდა დახმარების ხელი, ჩერნობილელები არიან. აქაურებმა ხომ საკუთარი გამოცდილებით იგრძნეს ხალხთა ლენინური მეგობრობის უდიდესი ძალა. რესპუბლიკის ორასზე მეტმა დიდმა საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება 1-2 დღის ხელფასი გადარიცხოს დაზარალებულთა დახმარების ფონდში. ყველგან — ქარხნებში და მშენებლობებზე, მეურნეობებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში — ეწყობა შაბათობები, გამომუშავებული ფული კი, ცალკეულ მოქალაქეთა შემოსულობებთან ერთად, ირიცხება იმ რაიონების მცხოვრებთა დახმარების ფონდში, რომლებმაც განიცადეს სტიქიის შემოტევა. უკრაინელ მეტალურგთა ინიციატივით ფართოვდება მასობრივი მოძრაობა, რათა უსწრაფესად შეასრულონ საქართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი. მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „ეიბოურმანგანუმისათვის" განკუთვნილი ახალი მოწყობილობა გადაწყვეტეს გამოგზავნონ უკვე მესამე კვარტალში, დაგეგმილი მეოთხე კვარტალის ნაცვლად.

არხანგელსკის ოლქი, ქალაქი კოტლასი: „საკუთარ უბედურებად აღვიქვამ თქვენს თავზე დატეხილ ჭირ-ვარამს. ჩემი მოკრძალებული შენატანი — 30 მანეთი გადაეცით ერთ-ერთ მარჩენალდაკარგულ ოჯახს. ომისა და შრომის ვეტერანი ეფიმენკო".

ამურის ოლქი, დაბა ბერეზოვკა: „დიდ სამძიმარს ვუცხადებთ წყალდიდობით დაზარალებული რაიონების მცხოვრებთ. გთხოვთ, 50 მანეთი გადასცეთ რომელიმე ოჯახს. დრემოვა".

ბელორუსიის სსრ, ქალაქი ვიტებსკი: „ოროთახიან ბინას ვთავაზობთ დაზარალებულთ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციამდე. ჩვენი მისამართია: ვიტებსკი, ჩკალოვის ქუჩა 24, მე-2 სადარბაზო, ბინა 103. მირძას ოჯახი.

კრასნოიარსკის მხარე, დაბა ვერხნეკამენსკი: „ზზად ვართ შევიფაროთ სამი მოსწავლე. ბინა საკმარისი გვაქვს. მატერიალურადაც უზრუნველყოფილი ვართ. თვითმფრინავით უნდა იფრინოთ ენისეისკამდე, აქ დავხვდებით. ვიბორნოვების ოჯახი.

დახმარების გაწევაში თავიანთი წვლილი შეაქვთ რელიგიურ თემთა წარმომადგენლებსაც. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაზარალებულთა დასახმარებლად რიცხავს 200 ათას მანეთს, იტყობინება ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის სახელით 100 ათასი მანეთი გადარიცხა ყოველთა სომეხთა კათალიკოსმა ვაზგენ პირველმა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით ქართველ ხალხს დიდ თანაგრძნობას უცხადებს და გამოთქვამს მზადყოფნას მატერიალური დახმარება გაუწიოს წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

როგორც ცნობილი გახდა, დაზარალებულთა დახმარების ფონდში 40 ათასი მანეთი გადარიცხა თბილისის სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის თემმა.

• • •

დახმარება კვლავ მოდის რესპუბლიკისა და ქვეყნის ყველა კუთხიდან.

(საქინფორმი).

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

ერევანი. (საკადისი). ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის" მიხედვით დადგმული სპექტაკლით დამთავრდა საქართველოს მინიატურების თეატრის გასტროლები ერევანში.

ათი დღის განმავლობაში სტუმრებმა აჩვენეს ქართველ ავტორთა, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების თანამედროვე დრამატურგთა ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი საუკეთესო დადგმები. მსახიობებმა მაყურებელს გააცნეს სპექტაკლი „კარგი მუშაობისათვის", რომელშიც შევიდა რჩეული სატირულ-იუმორისტული მინიატურები. გაიმართა კოლექტივის შემოქმედებითი შეხვედრები ერევნელ ხელოვნების მოყვარულებთან.

უკანასკნელ ხანს რუსთავში გამწვავდა ბრძოლა ნარკომანთა წინააღმდეგ. ქალაქის პროკურატურამ დამნაშავეობის მიზეზების შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემმუშავებელი საკავშირო ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად ბროშურად გამოუშვა „ნარკომანიის თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემა". იგი მოსკოვში გამოიცა და დაურიგდათ ქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, იმათ, ვინც მოვალეა ნარკომანიის წინააღმდეგ იბრძოდეს. ბროშურაში გათვალისწინებულია ამ სენის გავრცელების, გამოვლინების, აღკვეთის ადმინისტრაციული, ორგანიზაციული და საზოგადოებრივი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ მრავალი უწყება, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები. რუსთაველთა ეს გამოცდილება ახლა რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც ინერგება. შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებმა გაანალიზეს მეთვალყურეობა ბაღებსა და პარკებში, სხვა საზოგადოებრივი თვალთვალის ადგილებში, ყველგან, სადაც კი შეიძლება ბანგის მოყვარულმა იხეტოოს დრო და საშუალება შხამის მისაღებად. ბალლმესაჯულების მსახურნიც უფრო ობიექტურად იყენებენ დანაშავეთა მიმართ სასჯელის ღონისძიებებს, ბოლო ეღება ლიბერალიზმს.

ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად ბოლო ხანს მკვეთრად გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამოყენების, გასაღებისა და შენახვისათვის. ასეთები მარტო ცალკეული პირები კი არა, მთელი ჯგუფები არიან. ისინი მოიერიმოვის ბინის გაჩხრეკისას კიდევ აღმოჩნდა 3,8 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ანაშა. „შიკრიკები" წინათ ნასამართლევი არიან, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს, იოლი ცხოვრების მოყვარულნი ფულის შოვნის სურვილმა კვლავ სამსჯავრომდე მიიყვანა.

გამომძიებელმა ა. გვარაძემ, გადმოგვცა კიდევ ერთი საბრალდებო საქმე. ლეონიდე სიჩევამ, რომელიც რუსთავში ცხოვრობს და მოზდოკში მუშაობდა, გამომძიებით ჯერ კიდევ დაუდგენელ ვინმე ანდრიასთან ერთად, მინდორში დაამზადა 396 გრამი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი კანაფი და შეინახა ბინაში, ხოლო შემდეგ „აჩუქა" მასთან სტუმრად მოსულ რუსთავის საშენ მასალათა კომბინატის მძღოლს ზაკირ ისმაილოვს და თავის დას, გაერთიანება „აზოტის" მორიგე ზეინკალს მარინე სიჩევას. „ნადავლი" მათ ამ უკანასკნელის ბინაში შეინახეს და შეუდგნენ გასაღებას. პირველი კლიენტი უსაქმური ირინე ვერხოვსკაია იყო. შემდეგ სხვებიც მიემატნენ. და ვინ იცის, კიდევ რამდენ ადამიანს მოწამლავდნენ, რომ მათი თარეშიც არ დამთავრებულიყო.

შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ოპერატიულმა ჯგუფმა საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილის დ. მასხარაგიანის, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერრწმუნებულის ტ. ბიგანიშვილისა და საგუშაგო-საპატრულო სამსახურის უფროსის ჯ. დევდარიანის შემადგენლობით აღმოაჩინეს ნარკომანთა ბუნაგი ლერმონტოვის ქუჩის № 35-ში მცხოვრებ ჯვგბე ჯოლიას ბინაში. მისი „დამფუძნებელი" იყო ჯ. ჯოლიას ვაჟი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ლაბორატორიის რეგაზ ჯოლია, ხოლო აქტიური „თანამოღვაწენი" — ამავე ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი ალექსანდრე ზანდარაშვილი, თბილისის პატონის სახელობის ელექტროტექნიკური ქარხნის ხარატი მალხაზ ფილიშვილი, თბილისში ლენინის ქუჩის № 21 სახლში მცხოვრები უსაქმური და ნარკომანიისთვის ნასამართლევი აკაკი ჭოჭუა, პენსიონერი ვალერი გაგლოევი, რესპუბლიკის მეფუტკრეობის სასელექციო სადგურის მუშა მინდია ბუგეჩაშვილი, გაერთიანება „საქსოფლთვევზმრეწვის" მუშა მერაბ ფირცხალეიშვილი. გამოუცდელი თვალიც აკაკად შეამჩნევდა, რომ ისინი ნარკოტიკების ძლიერი გავლენის ქვეშ იყვნენ. ბინის ჩხრეკისას ჩამორთმეულია მოხმარებისათვის გამზადებული 140 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება. გამომძიებით დადგინდა, რომ ეს შხამი მ. ფილიშვილს შეუძენია დაუდგენელი პირისაგან 150 მანეთად და გასაღების მიზნით მიიტანა ჯოლიას ბინაში.

რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სისხლის სამართლის ქვეგანყოფილების პასუხისმგებელმა მუშაკებმა მ. გოგოლაძემ, ს. აკოფიანმა, ტ. ბიგანიშვილმა მორიგი შემოვლის დროს ადვილად გამოიცნეს ნარკომანები: რუსთავის ქარხნის ნაწარმის ქარხნის მეამწე ლიუდმილა ბუაჩიძე და „ცენტრმეტალურგრემონტის" ზეინკალი სერგი კონტოპი, პირველს ნარკოტიკი ჩანთაში უპოვეს, მეორე კი სახლში ინახავდა და იყენებდა. ისინი დაუყოვნებლივ დააკავეს. ასეთებზეა ნათქვამი: შხამის მთესველები შხამს იმკიანო.

მაინც, რატომ გავრცელდა ნარკომანია რუსთავში? ეკ. რუსთაველის პროკურორმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ა. ლომიძემ ასე განმარტა: — ეს იმან გამოიწვია, რომ გამაბრუებელი შხამით ცალკეული ადამიანების გატაცება ხშირად თუმცა შეუმჩნეველი არ რჩებათ შრომითი კოლექტივების წევრებს, ნათესავებს, მეზობლებს, ამხანაგებს, მაგრამ ისინი ეშვიათად ეერევიან მოვლენათა განვითარებაში და ნარკომანთა ალაგმვა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების მოვალეობა ჰგონიათ. ამასთანავე რუსთავსა და მის მიდამოებში საკმაოდ იყრიან თავს მსაკვრდადებული, გადაგვარებული ადამიანები. ისინი ამ საძრახის საქმეში ადვილად ითრევენ ადგილობრივ ახალგაზრდებს.

— დაუნდობელი ბრძოლა ნარკომანებს, ვიხსნათ ადამიანები დაღუპვისაგან! — ამ დევიზით მოქმედებენ ახლა რუსთავის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები და ეს ბრძოლა დღითი დღე ახალი შინაარსით მდიდრდება. მაგრამ იმისათვის, რომ იგი კიდევ უფრო წარმატებით წარიმართოს, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელშეწყობაა, მათ ერთგულად უნდა ამოუდგნენ მხარში შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრიობა, რომლებიც სიტყვით კი აღიარებენ ხოლმე ამ სენის მავნეობას, საქმით ხშირად ლმობიერებას იჩენენ, მკაცრი მსჯელობის საგნად არ ხდიან ნარკომანთა ულირს მოქმედებას.

დ. ბიწაძე,

„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

14 თებერვალს, 9 საათზე სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება თბილისში წლევანდელი საფეხბურთო სეზონის პირველი საკონტროლო მატჩი. ამ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩისა" ფეხბურთელები. ორივე გუნდის ხელმძღვანელებისა და ფეხბურთელთა ინიციატივით შეხვედრის მთელი შემოსავალი გადაირიცხება წყალდიდობით და ზვავებით დაზარალებული დასავლეთ საქართველოს რაიონების მოსახლეობის დახმარების ფონდში. გარდა ამისა, დახმარების ფონდს გადაეცემა თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩისა" ფეხბურთელთა დღიური ხელფასი.

მატჩი დაიწყება 15 საათზე. ფეხბურთის მოყვარულებს ვაცნობებთ იმასაც, რომ ავდრის შემთხვევაში თამაში „ლოკომოტივის" სტადიონზე მოეწყობა.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

მიზანი: სუპერფინალი

სულ რაღაც ოთხიოდე დღის წინათ დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტური, და აი, ფინალური ექვსეულის მონაწილეები ახალ, დასკვნით ეტაპში ჩაებნენ: მიმოსვლითი მატჩების პირველი შეხვედრა თბილისის „დინამომ" საკუთარ მოედანზე დონეცკის „შახტიორთან" გამართა და მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა — 72:69 (40:29).

დონეცკელებთან თამაშის ქარგა, აქვე, თბილისშივე, ამ ცოტა ხნის წინათ მათთან მოგებული შეხვედრის მსგელობას მოგგაგონებდათ. მაგრამ ამჯერად თბილისელთა თამაშის ტაქტიკური გეგმა კიდევ უფრო მახვილგონივრული გამოდგა: განსაკუთრებით პირველ ტაიმში ფინალისტებმა მეტოქეებს თითქმის მოლიანად გადაუკეტეს ფარქვეშ მანევრირების საშუალება. ამასთან შორი მანძილიდან დონეცკელების მიერ ნატყორცნი ბურთები მიზანს სცდებოდა და, ცხადია, ისინი ძნელად გადასაწყვეტი ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ: სხვა გზა მაინც ვერ გამონახეს და კვლავ ერთთავად იმას ცდილობდნენ, რომ თბილისელთა ფარქვეშ ეხერგიული მოქმედებით დაერღვიათ მასპინძელთა მიერ კარგად ორგანიზებული დაცვა. ნამოიელები არა მარტო საკუთარ ფარქვეშ თამაშისას აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე, არამედ დროდადრო მეტოქის ფართობაც უშეცდომოდ ამოავრვდნენ საიერიშო რეიდებს და, რაც მთავარია, შორი მანძილიდან რამდენიმე სამქულიანი ტყორცნაც ზუსტად განახორციელეს.

ყოველივე ამან განაპირობა პირველი ტაიმის 11-ქულიანი სხვაობით მოგება და საბოლოო გამარჯვების პრაქტიკული შესაძლებლობის კონტურიც მოიხაზა. კაცებმა და ღმერთი იცინოდაო; მესვეტეების შემდეგ დონეცკელმა სტუმრებმა, ეტყობა, ალღო აუღეს თბილისელთა ტაქტიკურ ჩანაფიქრს და სულ რაღაც 6 წუთში თბილისელთა ჯაფით მოპოვებულმა უპირატესობამ თვალსა და ხელს შუა გაქრობა დაიწყო. ამ მომენტისათვის მასპინძელთა უპირატესობა 2 ქულამდე შემცირდა — 45:43. სწორედ ამ კრიზისულ მომენტში კვლავ მასპინძლების კარნახით წარიმართა თამაში (55:45, 67:57...) და, გამარჯვებაც მათ დარჩათ.

თბილისელთა მიერ მოგებულ მატჩებს თუ გავიხსენებთ, ნებისმიერ ამ შეხვედრათა დაბოლოებისას „დინამო" კარგავდა ადრე მნიშვნელოვანი სხვაობით მოპოვებულ უპირატესობას. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ეს წდებ ყველასათვის უკვე ცნობილი ჭარმოების გამო (რამდენიმე მოთამაშეს ტრავმები ჯერ კიდევ არ მოუშუშებია და ამიტომ „დინამო" უმეტესწილად ამყამინდელი ძირითადი სასტარტო ხუთეულით იბრძვის).

ახლა ძნელად თუ ვინმეს შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ოქროს მედლებისთვის მომავალი სუპერფინალური მატჩების მონაწილენი უთუოდ ცსკა და კაუნასის „ჟალგირისი" იქნებიან. მაგრამ, ვინ მოიპოვებს ბრინჯაოს მედლებისთვის სუპერფინალურ შეხვედრებში მოხაწილეობის უფლებას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად ძნელია, ვინაიდან თბილისის „დინამოსაც", „შახტიორსაც", ლენინგრადის „სპარტაკსაც" და როგის ვეფსაც სუპერფინალისკენ გზის გაკვალვის თუ თანაბარი არა, მეტნაკლები შანსები აქვთ. ჩვენ „დინამოს". ბედი გვაღელვებს და წლევანდელი საკალათბურთო ჩემპიონატის დამ